ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 2 ივნისი, 2022 №107 (8885) ფასი: 80 თეთრი

## ილია ელოშვილის თვითმკვლელობის მუხლით აღიძრა საქმე

ის სახლში მარტო იყო

გვ.5



# „კობახიძის განცხადება შეურაცხმყოფელია ევროკავშირისთვის“



სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ ლიდერები დიპლომატიასთან ახლოსაც არ არიან. საფრანგეთზე, გერმანიაზე, შარლ მიშელზე გავლენას ახდენს სალომე სამადაშვილი და ნიკა მელია?!“



გვ.3

## „ევროკავშირმა უნდა მოგვცეს სტატუსი, მაგრამ საშინაო დავალება გვაქვს შესასრულებელი“

დავით ბერძენიშვილი: „ვიხვეწებით, რომ მიგვიღეთ ასეთი, როგორიც ვართ, ნაკლული“



გვ.2

„მოწინააღმდეგეც ბევრი გვყავს, მრავალკომპონენტიანია ზოგადად ეს ევროპული ბიუროკრატია, მაგრამ შანსი მეტი გვაქვს უფრო, ვიდრე არა!“



გვ.4

გიორგი გაჩეჩილაძე: „საპარლამენტო ოპოზიციას არ უნდა, საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მიიღონ, რადგან ამით „ოცნება“ გაძლიერდება“

## „ქართული ოცნების“ შეცდომაა, რომ 7-8 პარტნიორი პოლიტიკური ორგანიზაცია გააქრო“

## „ძალიან დიდი წონა ჰქონდა, კარგია, თუ დაიკლებს“

მეუფე იაკობი მიხეილ სააკაშვილზე



გვ.2

## რუსეთს საქართველო-რუსეთის საზღვარი ფსოუდან ენგურზე გადმოაქვს?

ზატულინი: „სერიოზული ინფრასტრუქტურა იქ უნდა შევქმნათ, სადაც საქართველოს მხრიდან პრობლემებია“



გვ.4



რას ამბობდა პოლონეთში მოკლული ქართველი ქალი მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე

გვ.5



თურქ გალიფ ოზთურქს ბათუმში უპოვეს ბევრი ფული და ნარკოტიკები

5 ჭავჭავაძის გამზირზე მამაკაცს ავტობუსი დაეჯახა

6 გერმანიაში შესვლაზე კორონავირუსთან დაკავშირებული რეგულაციები მარტივდება

3 შსს-მ ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია — „ნუ წაართმევ ბავშვობას“ — დაიწყო

6 მატვიენკო: „რუსეთი მზადაა, კიევთან შეთანხმებას ხელი მოაწეროს“

# „ევროკავშირმა უნდა მოგვცეს სტატუსი, მაგრამ საშინაო დავალება გვაქვს შესასრულებელი“

## დავით ბერძენიშვილი: „ვიხვეწებით, რომ მიგვიღეთ ასეთი, როგორიც ვართ, ნაკლული“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო ლევან, ყველანი ევროკავშირის განაჩენის მოლოდინში ვართ, მოგვცემენ თუ არა კანდიდატის სტატუსს? ხელისუფლება და ოპოზიცია ურთიერთბრალდებებზეა გადასული. როგორია თქვენი მოლოდინი?***

– ოპოზიცია ამ საქმეში ნამდვილად უბრალოა. ოპოზიციის ესა თუ ის ქმედება საკრიტიკო როცა არის, ამას არ ვერიდები. ოფიციალური განცხადებაა ოპოზიციის, რომ ჩვენ, ყველას გვსურს, მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. არის მიმართვა ხელისუფლებისადმი, რომ ერთად ვიყოთო, მაგრამ ხელისუფლება უარს ამბობს, არა, მე განაცხადს მარტო შევავსებო. ყველანი მტრები ხართო, ვინც ჩვენ გვაკრიტიკებს ევროპარლამენტში, ისინიც ნაცები არიანო. მოკლედ, მაკრონიც ნაცია და ასე შემდეგ. ხელისუფლების ეს ხაზი, მტრის ხატზე აგებული, შიდა პოლიტიკური ეს მდარე ხაზი, უკვე გადაიტანა საგარეო სივრცეში, რაც არა მარტო არაკვალიფიციურობა არის, არამედ სახიფათოც. მაინც მგონია, რომ ქართული ხელისუფლების უვარგისობის შესაძლებლობები ამოწურულია და მაინც დასავლეთზეა დამოკიდებული, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

***– როგორი იქნება ეს გადაწყვეტილება?***

– საქართველო და მოლდოვა თუ აღმოჩნდება ერთნაირ მდგომარეობაში, ანუ ერთად მოგვანიჭებენ კანდიდატობას, ან ერთად არ მოგვანიჭებენ. თუ ასე იქნება, მაშინ ეს შეარბილებს ჩვენი ხელისუფლების პასუხისმგებლობას. იმიტომ, რომ ეს ევროპის გადაწყვეტილება იქნება. თუ ერთად მიგვიღებენ, ხელისუფლება იტყვის, რომ მე მაგარი ვარ და ყველაფერში სწორი ვიყავი, ამიტომ საყვედურები არ მეკუთვნოდა. თუ ერთად არ მიგვიღებენ, ეს ევროპის გადაწყვეტილება იქნება და მარტო ხელისუფლებას რომ მიადგეს ოპოზიცია და საზოგადოება, არ იქნება



**„მოწინააღმდეგეც ბევრი გვყავს, მრავალკომპონენტიანია ზოგადად ეს ევროპული ბიუროკრატია, მაგრამ შანსი მეტი გვაქვს უფრო, ვიდრე არა!“**

ბოლომდე სამართლიანი. კი, ხელისუფლებამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ახლა თუ არც მოლდოვას აძლევენ კანდიდატობას, მოლდოვას ხელისუფლება ხომ კარგად იქცევა, მისი ხელისუფლების მიმართ დასავლეთში პრეტენზიები არ არის.

***– და თუ მოლდოვას მისცეს და ჩვენ არა?***

– აი, თუ ჩვენ აღმოვჩნდით ის მესამე, რომელიც გავარდება, მოლდოვა მიიღებს და ჩვენ ვერა, მაშინ, რა თქმა უნდა, ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად ხდება მთავარი დამნაშავე შექმნილ ვითარებაში. საკმაოდ სკეპტიკური განწყობები არის, რა თქმა უნდა.

***– გაჟღერდა ვარაუდი, რომ შესაძლოა უკრაინასაც უარი უთხრანო. ამას უშვებთ ბატონო დავით?***

– არა მგონია, მაგდენს ვერ იზამენ. მე მგონია, რომ უკრაინა აპრიორი კანდიდატად უნდა მიიღონ, ასევე მოლდოვაც ძალიან ახლოს არის და ძალიან დიდი ლობისტი ყავს რუმინეთის სახით, რომ მასაც დიდი შანსები აქვს. ამ ვითარებაში, მე მგონი, მესამე პრიზიორად, ბრინჯაოს მედალოსნად საქართველოს საკმაოდ კარგი შანსები გვაქვს ყველაფრის მიუხედავად. კანდიდატობა, ეს არის ჩემი სურვილი, წყურვილი, მოლოდინი, ვნახოთ, ამ გადაწყვეტილებას იღებს დასავლეთი. სრულიად მკაფიოდ ვხედავ, რომ თუ მოლდოვასთან ერთად არ მიგვიღეს, მაშინ ეს არ არის მხოლოდ ქართული ხელისუფლების ბრალი. ეს იქნებოდა ევროპული კონიუნქტურის განწყობა გამოხატული. ხოლო თუ ის ორი მიიღეს და ჩვენ არ მიგვიღეს, ეს მხოლოდ ქართული ხელისუფლების ბრალი იქნება.

***– დასავლეთშიც არის ხომ საპირისპირო არაერთგვარი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით? ზოგი მომხრეა, ზოგი წინააღმდეგი.***

– იქ არიან სლოვაკეთი, სლოვენია, მათ პრემიერებს ვუსმენდი გუშინ და ერთმნიშვნელოვნად სამივეს მიღების მომხრეა. ევროპის სული ამას მოითხოვსო. ესტონეთის პრემიერი რაღაცა სიფრთხილეს იჩენდა მოლდოვა-საქართველოს მიმართ, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ პოლონეთი, ლიტვა, საკმაოდ მძლავრი შემადგენელია იმისთვის, რომ ლატვიამაც და ესტონეთმაც მხარი დაგვიჭირონ. ბევრი ქვეყნისთვის არის შიდა, საკუთარი კონიუნქტურული განწყობები და მოტივები. მაგალითად, ფინეთის და შვედეთის პოზიცია, არის ძალიან მნიშვნელოვანი ფინელების ნათესავი ესტონელებისთვის.

***– ანუ თქვენი მოლოდინები პოზიტიურია?***

– დიახ, მაქვს უფრო პოზიტიური მოლოდინი, ვიდრე ნეგატიური, ყველაფრის მიუხედავად. უნდა მოგვცენ სტატუსი გარკვეული პირობებით. აუცილებლად უნდა გამოგვაყოლონ პირობები, ბევრი საშინაო დავალება გვაქვს შესასრულებელი. როგორც გურიაში იტყვიან, საქართველო არ დაიტიება მარტო.

***– პოლიტიკური მოცემულობაა ასეთი, თორემ საქართველო არ იმსახურებს კანდიდატის სტატუსსო, ასეთ შეფასებებს ვისმენთ ქვეყნის შიგნით, ოპოზიციის მხრიდან. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– მაგის გამო, მე მთელ კლიპებს მიძღვნიან. გადახაზული დათო ბერძენიშვილი. იმედმა რაღაც ამოგლიჯა კონტექსტიდან, ჩემი სამი სიტყვა. ყველა გადაცემაში ვამბობ და დიდი ხანია ვამბობ, როგორც ალბანეთი ნატოს წევრობას მაინცდამაინც არ იმსახურებდა, მაგრამ არის. არც კანდიდატობისთვის იყო მზად, მაგრამ არის.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ გეოპოლიტიკურმა კონიუნქტურამ განსაზღვრა ეს. ბევრი ქვეყანა არ აკმაყოფილებდა კანდიდატობის მაღალ სტანდარტს, მაგრამ პოლიტიკურმა კონიუნქტურამ განსაზღვრა, გადაწონა და მიიღეს. ჩვენც არ ვაკმაყოფილებთ სტანდარტებს, მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, უკრაინაში ომის გამოც, მგონია, რომ უნდა მიგვიღონ. სწორედ ამიტომ ვიხვეწებით, რომ მიგვიღეთ ასეთი, როგორიც ვართ, ნაკლული. კარგად ვიცით, რომ არც აპირებდა საქართველო 2024 წლამდე განაცხადის შეტანას, მაგრამ სწორედ უკრაინაში ომმა განსაზღვრა ის, რომ უკრაინამ შეიტანა და მოლდოვაც და ჩვენც ავეკიდეთ. სწორია, რომ ავეკიდეთ. ეს ლოკომოტივი არა მარტო ჩვენთვის და მოლდოვისთვის, მსოფლიო დემოკრატიისთვის არის უკრაინა. სისხლს უკრაინა ღვრის. იყო პერიოდი, როცა ჩვენ ვიყავით ამ სამეულის ლიდერები. ახლა ამ სამეულში ვართ მაჩანჩალები, მაგრამ რას ვიზამთ, ასეა, ხან ჩვენ ვართ წინ და ხანაც სხვა.

***– ნაციონალური მოძრაობა, მაქსიმალურად ცდილობს ძირი გამოუთხაროს და დააზიანოს ქვეყნის ინტერესი საერთაშორისო დონეზეო. აქვს ნაცმოძრაობას იმის ბერკეტები, რომ ზიანი მიაყენოს ქვეყანას და ხელისუფლებას?***

– სისულელეა ეს ბრალდება. ნაციონალური მოძრაობა არის სახალხო პარტიის წევრი და ევროპის სახალხო პარტია ამ თვალსაზრისით, საქართველოს მეგობრებითაა დახუნძლული. ჩვენ, რესპუბლიკელები, ამ კუთხით უფრო მყარად ვართ ჩვენს ლიბერალურ ოჯახში. როგორც კი ჩვენ განაცხადი შევიტანეთ, მაშინვე მიიღეს გადაწყვეტილება ჩვენი თხოვნით, რომ საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ასე რომ, დიდი ევროპული პარტიული ოჯახები მზად არიან საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის კანდიდატებად მიღებისთვის. ესეც მაძლევს გარკვეულ წილად იმედებს, რომ გადაწყვეტილება იქნება ჩვენთვის სასიკეთო. კი, მოწინააღმდეგეც ბევრი გვყავს, მრავალკომპონენტიანია ზოგადად ეს ევროპული ბიუროკრატია, მაგრამ შანსი მეტი გვაქვს უფრო, ვიდრე არა!

# „ძალიან დიდი წონა ჰქონდა, კარგია, თუ დაიკლებს“

## მეუფე იაკობი მიხეილ სააკაშვილზე

ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა მედიასთან საუბრისას მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბრისას თქვა, რომ „კარგი იქნებოდა, თუ ის წონაში დაიკლებდა“.

მეფე იაკობის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ციხიდან საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით ეკლესიას ხელისუფლებასთან საუბარი ჰქონდა და მთავრობამ ამის შემდეგ, მალევე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. მისივე თქმით, თუ გადაყვანა ახლაც საჭიროა – „ვინ არ გადაიყვანდა, ასატიკვებელი თავი ვის აქვს, ხომ?!“

– არის ორი აზრი, ერთი აზრი არის, რომ უნდა გადაიყვანონ, მეორე, რომ აქაც ჩვეულებრივ მკურნალობენ. დიაგნოზი რა აქვს, რომ ვიცოდე, დიაგნოზი რა აქვს, ვკითხავდი ექიმებს და მერე გეტყოდით [ჟურ. სავარაუდოდ, ანორექსია]. ისე, ხუმრობის გარეშე, ცოტას თუ დაიკლებდა, ძალიან დიდი წონა ჰქონდა, პირიქით, ჯანმრთელობისთვის, უცბად არ უნდა მოხდეს ხოლმე მაგ წონის დაკლება, თორემ



ისე ძალიან კარგია, თუ დაიკლებს, – თქვა მეუფე იაკობმა.

მისივე თქმით, სახელმწიფოს ვალდებულებაა არა მარტო პრეზიდენტის, არამედ ყველას გადარჩენა.

# დავით უსუფაშვილი: „ევროკავშირმა საქართველოს მაქსიმუმი უნდა მისცეს“

„ლელოს“ პოზიციაა, რომ არსებული სირთულეების მიუხედავად, ევროკავშირმა საქართველოს უნდა მისცეს მაქსიმუმი, რაც ახლა შესაძლებელია – ევროკავშირის წევრის კანდიდატის სტატუსი!

აღნიშნული განცხადება ჟურნალისტებთან პარლამენტის წევრმა დავით უსუფაშვილმა გააკეთა.

მისივე შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა და არა მხოლოდ აი პი პი, არამედ სხვა პოლიტიკური ჯგუფები ევროპაში კრიტიკულად განეწყვნენ საქართველოში არსებული მოვლენების გამო.

– ამიტომ არის, რომ მივმართავ ხელისუფლებას შარლ მიშელის დოკუმენტში დაბრუნებისკენ, რათა ამან შეამსუბუქოს ის ვითარება, რაც არის. ქართველ ხალხს მოვუწოდებთ, ევროპული მომავლისთვის ბრძოლით არც ერთხელ არ დავიღალოთ, რადგან ეს საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის ტოლფასია.

პრობლემები თვალსაჩინოა. „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა, მისი პირობები და მისდამი დამოკიდებულება გამხდარიყო ახალი თემა მსოფლიო დემოკრატიულ წრეებში.

ასე პრეზიდენტებს და პოლიტიკოსებს არ ექცევიან, ადამიანებს არ ეპყრობიან, ასე პოლიტიკური ლიდერები არ ქილიკობენ საპატიმრო დაწესებულებებში მოთავსებულ ადამიანზე. ასეთ აგდებულ და ცინიკურ დამოკიდებულებას ცივილიზებული მსოფლიო აღარ ავლენს სუპერ მოძალადე დამნაშავეების მიმართაც კი. ამ ყველაფერმა გააჩინა პრობლემები და ბევრ რამეს ახლა ვიმკით, – განაცხადა და-



ვით უსუფაშვილმა.

უსუფაშვილის შეფასებით, უკრაინაში ომისა და ევროკავშირში განაცხადის გაგზავნის ფონზე, ძალიან ბევრი პოლიტიკური საკითხი სხვა ელფერით წარმოჩინდა.

მისი თქმით, პრობლემები, რაც საქართველოს და „ქართულ ოცნებას“ აქვს, შეუქცევადია და „ქართული ოცნების“ მშვიდობიანი შეცვლის შემდეგ მოგვარდება.

– დღეს ჩვენი გზავნილი იმ ადამიანების მიმართ, ვინც საქართველოს მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი, უნდა იყოს, რომ მოგვეცით შესაძლებლობა, „ქართული ოცნება“ მშვიდობიანი საარჩევნო გზით ჩვენვე შევცვალოთ. ამისთვის აუცილებელია „ოცნების“ იძულება შარლ მიშელის ფორმატს დაუბრუნდეს, რისკენაც გზას კანდიდატობის სტატუსის მიღება გახსნის, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

# ოპოზიციონერები ირლანდიაში „ალდეს“ შეხვედრაზე გაემგზავრნენ



„სტრატეგია აღმაშენებლის“, „რესპუბლიკური პარტიის“ და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერები ირლანდიაში „ალდეს“ შეხვედრაზე გაემგზავრნენ.

ინფორმაციას ამის შესახებ პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“ ავრცელებს.

გიორგი ვაშაძის თქმით, შეხვედრას ევროკავშირის წევრი რამდენიმე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრები და ევროპარლამენტარები დაესწრებიან.

მისივე განცხადებით, ახლა მთავარია, ყველამ დაუჭიროს მხარი საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების საკითხს, რადგან ქართველი ხალხი ამას იმსახურებს.

– მთავარი საკითხი არის, რომ „ქართული ოცნების“ გადამკიდე ძალიან მძიმე მდგომარეობაა კანდიდატის სტატუსის მიღების საკითხთან დაკავშირებით და ჩვენი მთავარი გზავნილი იქნება, რომ საქართველო იმსახურებს, ევროპული ოჯახის წევრი გახდეს. ძალიან ბევრი შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი, რომ საქართველოსთან მიმართებით უფრო მეტი და მეტი მხარდაჭერა გამოიკვეთოს.

დიახ, ახლა ის დროა, როდესაც ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი ევროპელი პარტნიორები საქართველოს მხარდაჭერაში დავარწმუნოთ, რათა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მივიღოთ.

ის, რაც ბოლო წლების მანძილზე ცუდი გაკეთდა, გვერდზე უნდა გადავწიოთ და ვთქვათ მთავარი – ქართველი ხალხი ამას იმსახურებს. ამიტომ ჩვენ, მაშინ, როდესაც ხელისუფლება არაფერს აკეთებს, მაქსიმუმი უნდა შევძლოთ.

ეს არის „სტრატეგია აღმაშენებლის“ მიზანი. აუცილებლად მინდა, რომ კონკრეტული რეზოლუცია იყოს მიღებული, რომელიც ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას მხარს დაუჭერს, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კობახიძის განცხადება შეურაცხმყოფელია ევროკავშირისთვის“

## სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ ლიდერები დიპლომატიასთან ახლოსაც არ არიან. საფრანგეთზე, გერმანიაზე, შარლ მიშელზე გავლენას ახდენს სალომე სამადაშვილი და ნიკა მელია?!“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, პარლამენტის თავმჯდომარე იმედს გამოთქვამს, რომ ევროკავშირს ეყოფა სიმამაცე და სამივე ქვეყანას სოლიდარობის სიგნალს გაუგზავნის, რუსეთს კი ამით თავის სიტყვას ეტყვის. ამბობენ, რომ ძალიან რთული დებატებია ევროკავშირში, დღეის მონაცემებით, უკრაინაც კი ვერ იღებს სტატუსს. თქვენი პოზიცია როგორია?***

– ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად. თუ ევროკავშირმა ნეგატიური გადაწყვეტილება მიიღო და არ მოგვცა სტატუსი, არ მგონია, ეს პირდაპირ კავშირში იყო სააკაშვილისა და გვარამიას პატიმრობასთან. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება ორი ფაქტორი, ეს არის სასამართლო სისტემა და არჩევნები. ნებისმიერ ქვეყანაში სასამართლო არის არჩევნების გარანტორი.

საერთოდ, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტი თავისუფალ და მიუკერძოებელ სასამართლოზე დგას. სანამ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს არ ავაშენებთ ჩვენ, საზოგადოება, მანამდე არაფერი არ გვეშველება. არც ერთი ხელისუფლება ამას არ გააკეთებს. ამის მოთხოვნილება თავად მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ და ხალხის მისაღწევია. თავისუფალი სასამართლო ყოველთვის იყო ამ ქვეყნის აქილევსის ქუსლი.

***– ხელისუფლების წინმსწრებ პესიმისტურ განწყობას რითი ხსნით? შეიძლება ინფორმაცია აქვთ?***

– უფრო განწყობები მოსდით ალბათ ევროკავშირიდან, ვიდრე გადაწყვეტილება, რადგან ამ საკითხზე ჯერ დავა მიდის თავად ევროსაბჭოში. მათაც კი არ იციან, საბოლოოდ როგორი იქნება გადაწყვეტილება, რადგან 27 სახელმწიფომ უნდა გამოიტანოს ვერდიქტი. იქ წინასწარ არავინ არაფერი იცის, მსჯელობენ, კამათობენ და მერე იღებენ გადაწყვეტილებას. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, ისე მიკვირს „ქართული ოცნების“ ლიდერების ეს განწყობა, ოდნავადაც კი არ იგრძნობა, რომ დიპლომატიასთან ახლოს არიან.

***– შეიძლება თავს იზღვევენ და ამიტომ ოპოზიციას აბრალებენ, რომ მათ გააფუჭეს ყველაფერი.***

– ეს იმდენად შეურაცხმყოფელია ევროკავშირისთვის, ეს იმდენად მიუღებელია, როგორ, საფრანგეთზე, გერმანიაზე, შარლ მიშელზე, ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენზე გავლენას ახდენს სალომე სამადაშვილი და ნიკა მელია?! დაუფიქრდნენ მაინც, რას ამბობენ. ამით კობახიძე იცით რას გვეუბნება, სპილო კურდღლის მითითებით მოქმედებსო. ეს ხომ სასაცილოა. მართლა სასაცილო იქნებოდა, მაგრამ სატირალია, რადგან შეიძლება ეს ვილაცამ მართლა დაიჯეროს ჩვენს ქვეყანაში. გათვლაც ხომ ეს არის. არ შეიძლება ამ ენით ელაპარაკო თუნდაც შენს ამომრჩეველს. ნებისმიერი მოქალაქე პოლიტიკოსისგან პატივისცემას იმსახურებს და არა ასეთ განცხადებას.



***– უშვებთ იმას, რომ უკრაინამაც კი ვერ მიიღოს?***

– არა, ეს გამორიცხული მგონია. ევროკავშირს ძალიან გაუჭირდება უკრაინისთვის უარის თქმა, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში დემოკრატიული რეფორმები, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირთან არ არის მაღალ დონეზე, მიუხედავად ყველაფრისა, ევროკავშირი უკრაინის მიმართ მართლაც მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და ეს იქნება რუსეთისთვის გზავნილი, რომ უკრაინის გვერდით არის მთელი ევროპა ბოლომდე.

***– რაც შეეხება მოლდოვას და საქართველოს?***

– მოლდოვას ევროკავშირში ძალიან დიდი ლობი ჰყავს რუმინეთის სახით. რუმინეთი ნატოს და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა. თუ მოლდოვას უარს ეტყვიან, ყველა მიმართულებით, არ გამოვრიცხავ, რეფერენდუმი დაინიშნოს და საბოლოოდ მიიღოს გადაწყვეტილება, რუმინეთს შეუერთდეს სრულიად გასაგები მიზეზებით.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ სხვა არჩევანი, უბრალოდ, არ გვაქვს. საქართველოს ალტერნატიული გზა არ გააჩნია. საქართველო მიდის წინ – ევროპისკენ ან მიდის უკან – რუსეთისკენ, რაც იქნება კატასტროფა. ვინაიდან პრაგმატული ხალხია ევროპელები, ისინი გათვლიან ყველა დეტალს და მიიღებენ მათთვის რთულ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომ საქართველომ რუსეთისკენ არ გადაუხვიოს. ამიტომ, ვფიქრობ, გარკვეული პირობებით მოგვცემენ სტატუსს. შემდეგ კი ალბათ რამდენიმე ათეული წელი დაგვჭირდება წევრობისთვის და ეს არ იქნება მარტივი გზა, ეს იქნება რეფორმების, ცვლილებების გზა. ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გზაა, ვინც არ იქნება მზად ამისთვის, მას ფიქრიც კი არ უნდა ჰქონდეს, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს. ისლანდია იყო კანდიდატი და მერე წევრობაზე უარი თქვა, იმდენად რთულია ვალდებულებები. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მოლდოვასა და საქართველოს ბედი 50-50-ზეა. ვნახოთ, რა გადაწონის ევროკავშირში, პრაგმატიზმი თუ რა.

***– „ქართული ოცნებისთვის“ მისი პოლიტიკისთვის ევროკავშირის გადაწყვეტილებას მნიშვნელობა ექნება?***

– რასაკვირველია, რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში ექნება, თუ როგორი იქნება შემდეგში მისი პოლიტიკა. ამიტომ, ამ ყველაფერს კარგად აწონ-დაწონის ევროკავშირი და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას.

# პაატა მანჯგალაძე: „ქართული ოცნება“ ევროპარლამენტში „სოციალ-დემოკრატების“ წევრია“



არ ვიზიარებ ლევან იოსელიანის განცხადებას – ვერავინ გავლენას ვერ მოახდენს ევროპელი ლიდერების აზრზე. თუ ეს ასე ადვილია, „ქართული ოცნება“ არის „სოციალ-დემოკრატების“ წევრი ევროპარლამენტში და გამოიტანონ საქართველოს მხარდამჭერი გადაწყვეტილება.

ასე ეხმიანება „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატი პაატა მანჯგალაძე „მოქალაქეების“ დეპუტატის, ლევან იოსელიანის განცხადებას „ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ.

– როგორც მორატორიუმი გვაქვს და არ ვსაუბრობთ იმ ნაკლოვანებებზე, თუ რატომ შეიძლება ქვეყანას უარი უთხრან ევროპაში ინტეგრაციაზე, ასევე არ უნდა ვისაუბროთ იმაზე, თითქოს ვინმე ხელს უშლის ევროპაში ინტეგრაციის პროცესს.

ვინც არ უნდა ჩავიდეს, ევროპელებმა ჩვენზე უკეთ იციან, როგორი სასამართლო სისტემა გვაქვს, როგორ არის დაკავებული გვარამია და სააკაშვილი და რა მოტივებით. ისინი იღებენ სრულფასოვან ინფორმაციას და ვერავინ გავლენას ვერ მოახდენს ევროპელი ლიდერების აზრზე.

თუ ასე ადვილია ევროპელ ლიდერებზე გავლენის მოხდენა, „ქართული ოცნება“ არის „სოციალ-დემოკრატების“ წევრი ევროპარლამენტში, მათაც შეკრიბონ თავიანთი მეგობარი პარტია და გამოიტანონ საქართველოს მხარდამჭერი გადაწყვეტილება. ასეთი რამ არ გაუკეთებიათ, რადგან ვერ მოახდენ მათზე გავლენას ვერც ნეგატიური და ვერც პოზიტიური კუთხით, – განაცხადა მანჯგალაძემ.

ის ასევე გამოეხმაურა „ევროპის სახალხო პარტიის“ ყრილობას და აღნიშნა, რომ ევროპელმა პარტნიორებმა ნათლად უთხრეს ხელისუფლებას, რომ არავინ აღიარებს ქართული მართლმსაჯულების სისტემას, როგორც თავისუფალს.

ცნობისათვის, ლევან იოსელიანმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა პოლიტიკურ სივრცეში აღნიშნა, რომ იმედგაცრუებულია „ნაციონალური მოძრაობის“ გამო, რომელმაც აი პი პის განცხადება გაავრცელებინა. მან ეს „პოლიტიკურ ულირსობად“ შეაფასა.

# თბილისის მერია ილია ელოშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს




თბილისის მერია, მერის მოადგილის, ილია ელოშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

მერია მომხდარის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ თბილისის მერის მოადგილის, ილია ელოშვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებს, თბილისის მუნიციპალიტეტს. ილია ელოშვილის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია თბილისის მერიისთვის, ჩვენი ქალაქისთვის, – ნათქვამია განცხადებაში.

# „აი პი პის მიზანია, საქართველომ არ მიიღოს ევროკავშირის წევრობის სტატუსი“

## წულუკიანის განცხადება

კულტურის მინისტრი, თეა წულუკიანი „ევროპის სახალხო პარტიას“ ენმ-ს ლობისტად მოიხსენიებს და ფიქრობს, რომ მისი მთავარი მიზანია, საქართველომ ევროკავშირის წევრობის სტატუსი არ მიიღოს.

მისი აზრით, აი პი პის განცხადება ამისკენაა მიმართული.

თეა წულუკიანის აზრითვე, „ევროპის სახალხო პარტიის“ განცხადებები „ნაციონალური მოძრაობის“ მიერაა შემუშავებული. მინისტრი ამბობს, რომ გაუგებარია, რომ პარტია მიხეილ სააკაშვილს კვლავ დიდ დემოკრატად მიიჩნევს. მინისტრის კომენტარს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავრცელებს.

„ჩვენ ვიცით, მაგრამ ახლა უკვე ჩვენი საზოგადოებაც კარგად ხედავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლობისტები, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად „ევროპის სახალხო პარტია“, რომელიც მოიაზრება „ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორ ორგანიზაციად, პოლიტიკურ ოჯახად, როგორც ამას ეძახიან და ლობისტად, ყველაფერს ცდილობს, რომ ქართველმა ხალხმა, ჩვენმა ქვეყანამ, სახელმწიფომ არ მივიღოთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ ერთი ჯგუფი, ასეთი ჯგუფი არაერთია და მათი მთავარი მიზანია, ჩვენ როგორმე ევროპისკენ მიმავალ გზაზე, როგორც ერი და ქვეყანა, წარუმატებლები ვიყოთ.

ამჟამად, მათი მთავარი მიზანი, მათ შორის „ევროპის სახალხო პარტიის“ მიზანი გახლავთ, რომ საქართველომ არ მიიღოს ევროკავშირის წევრობის სტატუსი. ეს განცხადებაც სწორედ აქეთ არის მიმართული, რომელიც, რბილად რომ ვთქვა, საკმაოდ აბსურდულია.

სამარცხვინოცაა, რომ „ევროპის სახალხო პარტია“ უკვე აღარ მალავს, რომ მისი ოფიციალური განცხადებები „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არის შემუშავებული. ეს ამ განცხადებას სათაურად აქვს წამძღვარებული. ასევე, რბილად რომ ვთქვა, გაუგებარია, რომ იმ ადამიანს, რომელსაც რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე აქვს მისჯილი წლების გარკვეული ოდენობა საპატიმროში მოსახდელად, ვგულისხმობ პატიმარ სააკაშვილს, „ევროპის სახალხო პარტია“ კვლავ მიიჩნევს დიდ დემოკრატად“, – ამბობს თეა წულუკიანი.

წულუკიანი ამბობს, რომ საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება სამართლიანი იქნება და ევროკავშირის მხრიდან ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება მიუღებელი. მისივე თქმით, თუ ქვეყანა კანდიდატის სტატუსს აი პი პისა და „სხვათა ძალისხმევის შედეგად“ ვერ მიიღებს, მთავრობას შესაბამისი შეფასებები ექნება.

# შსს-მ ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია — „ნუ წაართმევ ბავშვობას“ — დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენციის მიზნით დაიწყო საინფორმაციო კამპანია – „ნუ წაართმევ ბავშვობას“, რომლის მიზანია ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ასევე, აღნიშნული კატეგორიის საქმეების შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების უზრუნველყოფა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლა და მსგავსი ფაქტების დროული გამოვლენა. შესაბამისად, ეფექტიანი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი მთელი ქვეყნის მასშტაბით სწავლობს და ამონიტორინგებს ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილ ყველა შესაძლო შემთხვევას.

კამპანიის გახსნით ღონისძიებაზე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ – ალექსანდრე დარახველიძემ, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა – ლელა ბაქრაძემ და შვედეთის სამეფოს ელჩმა საქართველოში – ულრიკ ტიდესტრომ მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს.

ღონისძიებას სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველის აპარატისა და აღნიშნულ საკითხზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა წარმოადგინა პრეზენტაცია, რომლის მეშვეობითაც სტუმრებმა ინფორმაცია მიიღეს ბავშვობის ასაკში ქორწინების სტატისტიკური მონაცემებისა და კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

ამასთანავე, გაიმართა პანელური დისკუსია, რომელშიც მომხსენებლებად მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში – ნიკო თათულაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე – თამარ მახარაშვილი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე – თამარ ბარკალაია და სახალხო დამცველის ოფისის გენდერის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – სოფიო რუსეცკი.



გარდა ამისა, ბავშვობის ასაკში ქორწინების თემაზე მომზადდა ვიდეორგოლი, რომელშიც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები საუბრობენ ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფით მხარეებზე და ხაზს უსვამენ ასეთი ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას.

კამპანია გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისთან პარტნიორობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობისთვის“ – ფარგლებში, შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

საინფორმაციო კამპანია ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება და არაერთ ღონისძიებას მოიცავს, მათ შორის, შეხვედრებს თბილისსა და რეგიონებში, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან. აღნიშნულ შეხვედრებს გამართავენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები, საპოლიციო დანაყოფებისა და სხვა პარტნიორი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად. აგრეთვე, ჩატარდება ნახატების კონკურსი.

კამპანიის ფარგლებში, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები. დამზადდა კამპანიის სიმბოლოებიანი სანიშნეები, მაისურები, გულსაბნევები, ჩანთები და სხვა ბრენდირებული ნივთები, რომლებიც კამპანიის მიმდინარეობისას გადაეცემა სკოლის ადმინისტრაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

# რუსეთს საქართველო-რუსეთის საზღვარი ფსოუდან ენგურზე გადმოაქვს?

## ზატულინი: „სერიოზული ინფრასტრუქტურა იქ უნდა შევქმნათ, სადაც საქართველოს მხრიდან პრობლემებია“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპანტი რუსეთი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთთან მიერთების თემაზე რეფერენდუმების მოწყობებისკენ ამ ეტაპზე არ მიილტვის, თუმცა, ამ ტერიტორიების ანექსიისკენ სვლას განაგრძობს.

ამას ადასტურებს ფსოუს საზღვრის გარშემო შექმნილი სიტუაცია. ეს საზღვარი ოფიციალურად და სამართლებრივად საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარია. ამიტომ, მისი დელიმიტაცია-დემარკაცია უნდა მოხდეს თბილისის აქტიური მონაწილეობით. რუსეთი, ბუნებრივია, სამართალს არ ემორჩილება და ფსოუზე საზღვრის დაზუსტება-დადგენას აფხაზურ ხელმძღვანელობასთან ერთად ცდილობს. ფსოუს საზღვარსაც თავისებურ სახელს არქმევს. ამ მიზნით 2011 წლიდან შექმნილია „რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის დელიმიტაციისა და დემარკაციის საქმეთა კომისია“.

საზღვრის საკითხზე უთანხმოება აფხაზეთის წარმომადგენლებსა და რუსეთის ჩინოსნებს შორის მაშინვე გაჩნდა. განსაკუთრებული დავის საგანი გახდა ფსოუსთან, ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სოფელი აიბგა. აფხაზური პრესის მონაცემებით, რუსეთი ამ მიდამოებში აფხაზეთის ტერიტორიის 160-მდე კვადრატულ კილომეტრს ითვისებს. შეუთანხმებლობის გამო, მას შემდეგ კომისიას ერთობლივად ფაქტობრივად აღარ უმუშავია. ამჟამად კომისიამ საქმიანობა განაახლა. კომისიის ამუშავებას დაერთო ეგზოტიკური და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამაზიანებელი ინიციატივები რუსეთის მხრიდან. წესით, ეს იდეები დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მქონე აფხაზებსაც არ უნდა აწყობდეთ. თუმცა, პროტესტი ჯერ არ იკვეთება.

რუსებს ფსოუზე საზღვრის გაუქმება და მისი ბელარუსიზაცია უნდათ

ფსოუს საზღვარზე ამ დღეებში რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს, ევრაზიული ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტში იმსჯელეს. სხდომის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ კალაშნიკოვმა, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობენ ქართველი პოლიტიკოსები, გამოაცხადა ფსოუზე გადასასვლელის გაუქმების წინადადების შესახებ.

**ლეონიდ კალაშნიკოვი:**

– ვისაუბრეთ გადასასვლელის შესახებ ფსოუზე, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე. პრობლემა წლიდან წლამდე ვერ წყდება. შევთანხმდით სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, მაგრამ ჩვენ უფრო სერიოზული საკითხები დავაყენეთ იმაზე, რომ გავაუქმოთ ეს გადასასვლელი იმის მსგავსად, როგორც ეს ბელორუსიაში მოხდა.

სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი ანა კუზნეცოვა აქცენტს პოლიტიკურის გარდა, ყოფით საკითხზე აკეთებს და მიიჩნევს, რომ საზღვრის ფაქტობრივი გაუქმება აუცილებელია ტურისტების ნაკადების დასარეგულირებლად. საქართველოს ამ ოკუპირებულ კუთხეში წელს ბევრ დამსვენებელს ელიან რუსეთიდან. მისი თქმით, საკითხი სტრატეგიულადაც უნდა გადაიჭრას.

– ამჟამად, ახლანდელ პირობებში, პირველი რიგის ამოცანაა გავუადვილოთ საზღვრის კვეთა მოქალაქეებს, ვაქციოთ ის მაქსიმალურად კომფორტულად, მათ შორის, ტურისტული ჯგუფებისთვის. სტრატეგიული, საერთო ამოცანაა გავარკვიოთ, მივდივართ თუ არა ამ საზღვრის გაუქმებაზე, ვაყალიბებთ თუ არა საზღვრის კვეთის ახალ წესრიგს. ახლა ვლაპარაკობთ არა იმდენად პოლიტიკურ პროცესებზე, რამდენადაც ჩვენი მოქალაქეების კომფორტზე, – განმარტავს სანქცირებული ქვეყნის მოქალაქეების კომფორტს გადაყოლილი ვიცე-სპიკერი.

აფხაზურ მედიასთან გაკეთებულ კომენტარში უფრო მეტს ამხელს კალაშნიკოვის მოადგილე



კონსტანტინ ზატულინი. ზატულინი, ფაქტობრივად, აანონსებს საქართველო-რუსეთის საზღვრის გადმოტანას ენგურზე, სადაც საოკუპაციო, იგივე გამყოფი ზოლია.

ზატულინი ირწმუნება, რომ „აფხაზეთთან საზღვარს“ და „აფხაზეთის სუვერენიტეტს“ არავინ აუქმებს. საზღვარი გახდება ისეთი, როგორიც რუსეთს ბელარუსთან აქვს, სადაც საკონტროლო-გამშვები პუნქტები არ არსებობს. ზატულინი ენგურის გამყოფ ხაზს საზღვარს უწოდებს.

კონსტანტინ ზატულინი:

– საუბარია იმაზე, რომ მოიხსნას ეს შემოწმების არასაჭირო პუნქტები, ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რომ რუსეთის სამსახურები, მათ შორის, სასაზღვრო, აფხაზურთან ერთად ჩართულია საზღვრის დაცვაში ენგურზე, საქართველოს საზღვართან, სადაც არის პრობლემები იმის გამო, რომ საქართველო არ იღებს დამოუკიდებელი აფხაზეთის ფაქტს. სერიოზული ინფრასტრუქტურა სწორედ იქ უნდა შევქმნათ. საზღვრის რეჟიმის მოხსნა მოქმედ ფორმატში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და საბოლოო სიტყვა ქვეყნების ხელმძღვანელებზეა. ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ მათთვის უნდა მოვამზადოთ მთელი დოკუმენტაცია და გადაწყვეტილების ვარიანტები. პირველი ეტაპი შეიძლება გახდეს რუსულ-აფხაზური ერთობლივი გამშვები პუნქტი და არა ცალკე რუსული და ცალკე აფხაზური პუნქტები.

## „ოცნების“ მხარდამჭერთა შორის მხოლოდ მარგარიტა სიმონიანი და პუტინის სხვა პროპაგანდისტები დარჩნენ“

ძლიერი პოლიტიკური განაცხადი – ასე აფასებს ოპოზიცია „ევროპის სახალხო პარტიის“ ყრილობაზე მიხეილ სააკაშვილისთვის სიმბოლურად განკუთვნილ სკამს.

„ოცნების“ ოპონენტები პირდაპირ ამბობენ, რომ ამ ჟესტით ევროპის ყველაზე დიდმა და გავლენიანმა პარტიამ დემონსტრაციულად უთხრა მსოფლიოს, რომ სააკაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი.

ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, „ევროპის სახალხო პარტიის“ მხრიდან ეს მხარდაჭერის სიმბოლური აქტი იყო.

– პარტიის სახალხო ფორუმზე მიხეილ სააკაშვილის მიწვევა, მისთვის საგანგებო ადგილის გამოყოფა, რა თქმა უნდა, არის სიმბოლური აქტი მხარდაჭერისა, ასევე იმის პირდაპირი აღიარება, რომ მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი. „ევროპის სახალხო პარტიის“ ფორუმზე ასევე გამოჩნდა, როგორი მხარდაჭერა აქვს საქართველოში თავისუფლებისათვის მებრძოლ პრეზიდენტს და ზოგადად თავისუფლებისათვის მებრძოლ პოლიტიკურ ძალებს და ეს არის მართლაც დრამატული კონტრასტი იმ ფონზე, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა შორის დარჩნენ მხოლოდ მარგარიტა სიმონიანი და პუტინის სხვა პროპაგანდისტები, – აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ნუგზარ წიკლაური.

შეგახსენებთ, რომ „ევროპის სახალხო პარტიის“ ყრილობაზე მიხეილ სააკაშვილისთვის განკუთვნილი სკამი ცარიელი იყო.

დონალდ ტუსკმა საუბარი სწორედ პატიმრობაში მყოფი პრეზიდენტის შესახებ დაიწყო და მიხეილ სააკაშვილის წერილიც წაიკითხა.

# „ქართული ოცნების“ შეცდომაა, რომ 7-8 პარტნიორი პოლიტიკური ორგანიზაცია გააქრო“

## გიორგი გაჩეჩილაძე: „საპარლამენტო ოპოზიციას არ უნდა, საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მიიღონ, რადგან ამით „ოცნება“ გაძლიერდება“



**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო გიორგი, საქართველოს მწვანეთა პარტიის დელეგაცია ევროპის მწვანეთა პარტიის მმართველი საბჭოს სხდომაში მიიღებს მონაწილეობას, სადაც უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მიღების საკითხი განიხილება. ამ სხდომისაგან რას ელოდებით?***

– ჩვენ ვართ ევროპის მწვანეთა პარტიის დამფუძნებლები, რაც ზურაბ ჟვანიას დროს მოხდა. მერე ვიყავით კომიტეტის წევრები. ახლა მმართველი საბჭოს წევრები ვართ. ბუნებრივია, ვცდილობთ, მწვანეთა პარტიის მმართველი საბჭოს სხდომაზე საქართველოს ინტერესები გავიტანოთ. ევროპის მწვანეთა პარტიას ევროპის პარლამენტში ფრაქცია აქვს, ასევე ჰყავს საგარეო საქმეთა მინისტრები გერმანიასა და სხვა სახელმწიფოებში.

ევროპის მწვანეთა პარტია ძალიან ძლიერი პოლიტიკური პარტიაა და, შესაძლებელია, საქართველოს მხარდაჭერა მოვიპოვოთ, რაც უნდა გამოვიყენოთ. მწვანეთა პარტიის მმართველი საბჭოს სხდომა რიგაში იმართება. ორი დოკუმენტი მიიღება. ერთი დოკუმენტი ჩვენ შევიტანეთ, რომ ევროპის მწვანეთა პარტიამ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას მხარი დაუჭიროს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაში, რაც რეზოლუციის სახით იქნება.

მეორე დოკუმენტი ჩვენი, უკრაინისა და მოლდოვის მწვანეთა პარტიების მიმართვა იქნება როგორც შეხვედრის მონაწილეებისადმი, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისადმი, რომ რაც შეიძლება მეტი წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის აგრესიას და უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას დაეხმარონ.

საქართველოში ომი არ დამთავრებულა. რუსეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ ისევ მიმდინარეობს. მცოცავი ანექსია მიდის, მავთულხლართებს აბამენ, ადამიანებს იტაცებენ და მიჰყავთ, გადაადგილებას უზღუდავენ და ა.შ, ხელისუფლებაც არ არის დარწმუნებული, რომ ამ სტატუსს მიიღებს.

***– რატომ არ არის დარწმუნებული?***

– იმიტომ, რომ ის საერთაშორისო ინდექსები, რომლებიც ახლა ქვეყნდება, მაგალითად, მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველომ ძალიან უკან დაიხია.

***– მედიის თავისუფლების ინდექსი გვარამიას დაპატიმრებამ დახია უკან?***

– არა, საერთოდ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებაში, საქართველოსთვის რამდენიმე პრობლემაა. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, საქართველოში დემოკრატიული პროცესის სტაგნაცია.

***– როგორ და რატომ?***

– ძირითადი დემოკრატიული ღირებულებები, რომელიც დაკავშირებულია საინფორმაციო ველის თავისუფლებასთან, შეზღუდულია გარკვეული პოლიტიკური სპექტრისთვის. ამაზე აშშ-ისა და ევროპის დემოკრატიული არასამთავრობო ინსტიტუტები საქართველოს მოუწოდებენ, რომ შეწყდეს პოლარიზაცია, რადგან არ იძლევა არც დემოკრატიისა და არც სახელმწიფოს განვითარების საშუალებას.

***– რომელი პოლიტიკური სპექტრისთვისაა შეზღუდული საინფორმაციო ველი?***

– მაგალითად, ჩვენთვის და ჩვენნაირი პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის. სამწუხაროდ, ამის გამოსწორება ვერ ხერხდება. ზოგადად, პოლარიზაციაა. ერთი მხრივ, არსებობს ნაცმოძრაობა თავისი მედიით, თავისი ფარული თუ ღია დაფინანსების წყაროებით. მეორე მხრივ – სახელისუფლებო მედია, თავისი ფარული თუ ღია დაფინანსებით.

სანამ ამ ორ მხარეს შორის პოლარიზაცია არ მორჩება, მანამდე ქვეყანას დემოკრატიული განვითარების პერსპექტივა არ აქვს. აქედან გამომდინარეა შეწუხებული დასავლეთი, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს განვითარებითა და ქვეყანაში დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებით.

არც ხელისუფლებას აწყობს, ნაცმოძრაობის პოლიტიკური სივრციდან გაქრობა, რადგან საზოგადოება იმ წუთშივე მოძებნის შესაბამის ალტერნატივას. შესაბამისად, არც ნაცმოძრაობას და მის სატელიტებს აწყობთ სხვაგვარად. იმ ვაკუუმს, რომელიც დაახლოებით საზოგადოების 60-ია, სხვა ამოავსებს

***– არჩევნების შედეგების დაახლოებით 49% არჩევნებში არ მონაწილეობს.***

– დიდი ციფრია, რომელიც მხარს არავის უჭერს. ეს მასა მოძებნის ნორმალურ ალტერნატივას. რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობას ეს არ აწყობს. მაშინ ისინი პოლიტიკური სივრციდან სამუდამოდ გაქრებიან.

***– „ქართული ოცნება“?***

– „ქართული ოცნების“ შეცდომა და დანაშაული ისაა, რომ მას ჰყავდა 7 თუ 8 პარტნიორი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელთან ერთად არჩევნებში კოალიციებში გამოდიოდა. ზოგს დისკრედიტაცია გაუკეთა და ზოგი, საერთოდ, გააქრო.

***– „ქართულ ოცნებას“ მაშინაც აკრიტიკებდნენ, როდესაც 7 თუ 8 ორგანიზაციასთან ერთად კოალიციაში იყო. ეგ ვერ შველოდა.***

– თავიდან „ქართულმა ოცნებამ“ სწორი კურსი აიღო, ძალიან კარგი პოზიციით მოვიდა ხელისუფლებაში და ბევრი რამ გააკეთა, ამიტომ თავიდანვე უნდა გაეძლიერებინა პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელსაც ის მიიჩნევდა დასავლური ორიენტაციის, ნორმალურ, კონსტრუქციულ პოლიტიკურ ორგანიზაციებად, რომელიც ინტეგრირებული იყო ევროკავშირისა და სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებში.

ასეთი რამდენიმე იყო. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტია, კონსერვატიული პარტია, მწვანეთა პარტია, თავისუფალი დემოკრატები და ა.შ., მაგრამ „ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობა არჩია, რადგან ნაცმოძრაობასთან ყველაფერი იოლია.

***– ევროკავშირის წევრობის კანდიდატად საქართველოს მიღება თვითონ ევროპის ინტერესი არ არის? მაგალითად, როდესაც ნატოს უნდოდა თურქეთი თავის რიგებში მიეღო, მგონი, 1948 წელს, მიუხედავად იმისა, ამ ქვეყანას დემოკრატიის ნასახიც არ ჰქონდა, სასწრაფოდ მიიღეს.***

– რა თქმა უნდა, თურქეთი არც დემოკრატიული ქვეყანა იყო და არც – დაწინაურებული. საქართველოს მიღება ევროკავშირის ინტერესშია (იმიტომ კი არა, რომ საქართველო უყვარს), მაგრამ თვითონ ევროკავშირში არიან ქვეყნები, რომლებიც ყოველთვის საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას აფერხებენ.

***– მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი...***

– ასეთი ქვეყნებია გერმანია, საფრანგეთი, იტალია. ყველა ეს ქვეყანა რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებთან ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

***– ახლა?***

– ევროკავშირის შიგნით პრობლემა ყოველთვის არსებობდა. ამიტომ საქართველოს ხელისუფლების ძირითადი ამოცანა იყო, ისე მოქცეულიყო, რომ ამ ქვეყნებისთვის ჩვენი დაბლოკვის მიზეზი არ მიეცა.

***– როგორი ცუდი ხელისუფლებაც უნდა გყავდეს, როგორ უნდა გახვიდე ევროპაში და როგორ უნდა იპროპაგანდო, საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატად არ მიიღოთ, მზად არ არის, არ იმსახურებს, ცუდი ხელისუფლება ჰყავსო? თუ ხელისუფლება იმას არ აკეთებს, რაც ხალხს უნდა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა უფრო არ აიძულებს, უკეთესად იმუშაოს?***

– გარკვეულწილად, ხელისუფლება სწორია, როდესაც ოპოზიციაზე ამბობს, რომ ის ცდილობს, ხელი შეუშალოს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. საპარლამენტო ოპოზიციას არ უნდა საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მიიღონ, რადგან ამით „ოცნება“ გაძლიერდება.

საქართველოში არსებული ოპოზიცია ცდილობს ევროკავშირში არსებული უთანხმოება თავისი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ.

***– ამ ვითარებაში რის იმედი გაქვთ, რომ ევროკავშირში საქართველოს მიღების საკითხზე დადებით გავლენას მოახდენთ?***

– მწვანეთა პარტიის პოზიცია მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. თუ ევროპის მწვანეთა პარტიის რეზოლუცია იქნება მიღებული, ხელს შეუწყობს ჩვენი ოპოზიციის მცდელობების განეიტრალებას, რომელიც ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაში. ამ შემთხვევაში ეს არის ჩვენი ინტერესი.

არსებობს სერიოზული ძალა, ევროპის მწვანეთა პარტიის სახით, რომელიც უმძლავრესი პოლიტიკური ორგანიზაციაა და ევროპარლამენტში უზარმაზარი ფრაქცია აქვს, დიდი გავლენა აქვს ევროპის წამყვან ქვეყნებში. სხვათა შორის, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მწვანეთა პარტიის წარმომადგენელია. გვინდა ამაზე გავლენა მოვახდინოთ და უარყოფითი გავლენები გავანეიტრალოთ.

***– გერმანიის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მწვანეთა პარტიის პოზიციას გაითვალისწინებს?***

– გერმანიის მწვანეთა პარტია ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციაა, როგორც ევროპის მწვანე მოძრაობაში, ასევე ევროპის მწვანეთა პარტიაშიც, თან გავლენიანია. თუ ისინი საქართველოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატად მიღებას მხარს დაუჭერენ, რა თქმა უნდა, გავლენა ექნება.

მე, უბრალოდ, ძალიან მაწუხებს ის, რომ 5 დღეა, რაც ეს ინფორმაცია გავავრცელეთ და არავინ გვეკარება. არც ოპოზიციური მოძრაობის მედია და არც სახელისუფლებო მედია. არ გვესმის, ხელისუფლებას რატომ არ აწყობს ჩვენი ამ პროცესში ჩართვა!? რატომ არ უნდათ ამ ინფორმაციის გახმოვანება, სერიოზული კითხვის ნიშნებია.

# „ძალიან მძიმე გრძნობით გამოვდივარ ყოველთვის“

## გიული ალასანიამ მიხეილ სააკაშვილი მოინახულა

31 მაისს კლინიკა „ვივა მედში“ მესამე პრეზიდენტის დედა, გიული ალასანია მივიდა.

— მე იმედი გამიჩნდა, რომ მოხერხდეს მისი გადარჩენა ამის შემდეგ, თუმცა რაღაც პროცედურებია მოსალოდნელი და რაღაც დღეები კიდევ დასჭირდება. ძალიან სწრაფად თუ გაკეთდება, ეს იქნება ძალიან კარგი.

მძიმე, მძიმე, ძალიან მძიმე გრძნობით გამოვდივარ ყოველთვის და საერთოდ, რომ ვზივარ და ვუყურებ მას ასეთ მდგომარეობაში, ჩემთვის ძალიან მძიმეა იმიტომ, რომ ადამიანი, რომელსაც ვერ გააჩერებდი, ენერგიით სავსე და უცებ ვხედავ, რომ ძვლებია გამოფიტული, — თქვა გიული ალასანიამ.



ცნობისთვის, 6-დღიანი ლოდინის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებს, სასამართლო განჩინება გადასცეს. შოთა თუთბერიძემ ნინო ჩახნაშვილის გადაწყვეტილება 31 მაისს საქალაქო სასამართლოდან აიღო.

ადვოკატის განმარტებით, განჩინების გადაცემის შემდეგ, მედიკოსები მიხეილ სააკაშვილთან დაუყოვნებლივ უნდა შეუშვან და მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის შეფასება დროულად უნდა დაიწყოს.

# თურქ გალიფ ოზთურქს ბათუმში უპოვეს ბევრი ფული და ნარკოტიკები




საქართველოს ფინანსთა სამინიტროს საგამოძიებო სამსახური ბიზნესმენ გალიფ ოზთურქის დაკავების თაობაზე ინფორმაციას ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, მის საცხოვრებელ მისამართზე, გადასახადისთვის თავის არიდების, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტზე გამოძიების პროცესში, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, სხვა ნივთიერ მტკიცებულებებთან ერთად, ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით ფულადი თანხა, ასევე აღმოჩენილ იქნა, სავარაუდოდ, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები.

„მოქალაქე გ.ო.-ს მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდების, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტზე მიმდინარე გამოძიების პროცესში, საქმის ვითარების გასარკვევად საჭირო მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, 2022 წლის 31 მაისს, სასამართლოს განჩინებების საფუძველზე, მოქალაქე გ.ო.-სთან, ასევე მასთან დაკავშირებულ პირებთან და კომპანიებში განხორციელდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

გ.ო.-ს საცხოვრებელ მისამართზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, სხვა ნივთიერ მტკიცებულებებთან ერთად, ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით ფულადი თანხა, ასევე აღმოჩენილ იქნა, სავარაუდოდ, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები, რასთან დაკავშირებითაც გ.ო. დაკავებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 261-ე მუხლების პირველი ნაწილებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 წლამდე ვადით.

საქმეზე ინტენსიურად გრძელდება შესაბამისი ღონისძიებები, რომლის შედეგების შესახებ, პერიოდულად მოხდება საზოგადოების ინფორმირება“ — ნათქვამია ინფორმაციაში.

გალიფ ოზთურქის დაკავების ფაქტს კომპანია „მეტრო ჰოლდინგის“ მენეჯმენტი გამოეხმაურა.

„მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ტელევიზიით და საინფორმაციო საშუალებებით ვრცელდება გადაუმოწმებელი ინფორმაცია სხვადასხვა სისხლის სამართლებრივი ბრალდებით „მეტრო ჰოლდინგის“ დამფუძნებლის, ცნობილი ბიზნესმენის და მეცენატის გალიფ ოზთურქის დაკავების შესახებ.

მეტრო ჰოლდინგის მენეჯმენტი და ადვოკატები მუშაობენ იმაზე, რომ ამ სრულიად აბსურდული მიზეზებით გამოწვეულ ქმედებას მიეცეს სწორი შეფასება და გატარდეს ყველა სათანადო კანონიერი ღონისძიება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ უახლოეს საათებში ეს გაუგებრობა აღმოიფხვრება და კომპანიები დაუბრუნდებიან ჩვეულ რეჟიმში საქმიანობას. მოვუწოდებ ყველა ჩვენს გულშემატკივარს, შეინარჩუნონ სიმშვიდე. მადლობას გიხდით ყველას მხარდაჭერისა და თანადგომისთვის“ — ნათქვამია განცხადებაში.

# ილია ელოშვილის თვითმკვლელობის მუხლით აღიძრა საქმე

## ის სახლში მარტო იყო

თბილისის მერის მოადგილის ილია ელოშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



ილია ელოშვილის საცხოვრებელ სახლში 1 ივნისს საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა.

ადგილზე კინოლოგები და ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

ახლობლების ინფორმაციით, ელოშვილი სახლში, სავარაუდოდ, მარტო იმყოფებოდა.

ილია ელოშვილი 47 წლის იყო, მას მეუღლე და ორი შვილი დარჩა. ელოშვილი თბილისის მერის მოადგილის თანამდებობას 2021 წლიდან იკავებდა, იქამდე ენერგეტიკის მინისტრი, მანამდე კი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე იყო.

ცნობისთვის, თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ილია ელოშვილის გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ამ დრომდე უცნობია.

# პროკურატურამ ძმებ კაკულიებს ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ თბილისში ჯგუფურად მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვის, ტარების, ასევე, საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე, ორ პირს ძმებ დავით და გუგა კაკულიებს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით არაყიშვილის ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის ფაქტი გახსნეს.

საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 27 მაისს, არაყიშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთაზე, ბრალდებულებმა ჯგუფურად, განზრახ მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გასროლის შედეგად ერთ პირს მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს.

„ბრალდებულების მიერ ჩადენილმა ქმედებამ ასევე საფრთხე შეუქმნა ადგილზე მყოფ პირებს, მათ შორის ერთ-ერთმა ფეხის არეში დაზიანება მიიღო. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულებმა უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, მართლსაწინააღმდეგოდ, ჯგუფურად შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდნენ მათ მიერ ნაქირავებ ბინაში.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული 30 მაისს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ჯგუფურად განხორციელებული განზრახ მკვლელობის მცდელობა, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას), 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, ჯგუფურად შენახვა და ტარება) და 344-ე მუხლის პირველი ნაწილით (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.




პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნება ბრალდებულების მიერ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებთან მათი შესაძლო შემხებლობა.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობენ სომხეთის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან, ბრალდებულების მიერ სომხეთში დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით“ — განაცხადეს პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე.

გუგა და დავით კაკულიების ადვოკატის, გიორგი ანთაძის თქმით, ბრალდებულები მათთვის წარდგენილ არც ერთ ბრალს არ აღიარებენ.

— არ ცნობენ წარდგენილ არც ერთ დანაშაულში თავს დამნაშავედ. ბრალის დამძიმებას ნიკო კვარაცხელიას ეპიზოდში მე პირადად გამოვრიცხავ. რაც შეეხება ბრალის ფორმულირებას, არის ვაკის ეპიზოდი, არის მკვლელობის მცდელობა ჯგუფურად, საზღვრის უკანონო კვეთა.

რაც არის წარმოდგენილი დასკვნა, არ არის შედარებული აღნიშნული იარაღები იქ გასროლილ მასრებთან. დაზარალებულები არ არიან გამოკითხულები და ოპერატიული ინფორმაცია აქვთ პატაკის სახით მიღებული, რომ აღნიშნულ პირებს აქვთ დანაშაული ჩადენილი, — განაცხადა ადვოკატმა.

# რას ამბობდა პოლონეთში მოკლული ქართველი ქალი მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე

„საფარის“ ადვოკატმა, თამარ ლუკავამ, „იმედის დღესთან“ პოლონეთში მოკლული ქალის – 26 წლის როზეტა ყალიჩავას შესახებ ისაუბრა.

იურისტმა გაიხსენა ქალთან მიმოწერა, რომელიც მოძალადე ქმრისგან თავის დასაცავად, საქართველოში, უცხო ადამიანს სთხოვდა დახმარებას. თამარ ლუკავა აღნიშნავს, პოლონეთის პოლიცია ოჯახური ძალადობის შესახებ შესულ შეტყობინებებზე შესაბამისად არ რეაგირებდა.

„ამ ქალს პირადად არ ვიცნობდი, თავად მომწერა ფეისბუქში. მიმოწერაში ამბობდა, რომ 7 წელია, თანაცხოვრებაშია მეუღლესთან, რომლისგანაც ძალადობის მსხვერპლია როგორც ფსიქოლოგიურად, ისე – ფიზიკურად. ასევე, მიმოწერაში ახსენებდა, რომ ბოლო წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საცხოვრებლად პოლონეთში, შვილებთან ერთად გადავიდა, ძალადობის ფაქტები გახშირდა და უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

მან ასევე ახსენა, რომ პოლიცია არაერთხელ იყო გამოძახებული მეზობლების მიერ, თუმცა პოლიციისთვის ინფორმაციის მიწოდებას ვერ ახერხებდა, რადგან ქართულის გარდა, სხვა ენა არ იცოდა. ასევე, ადგილზე მისულ პოლიციის თანამშრომლებს ყოველთვის ხვდებოდა მეუღლე, რომელიც ეუბნებოდა, რომ ძალადობის არანაირ ფაქტს არ ჰქონია ადგილი და რომ ბავშვები ხმაურობდნენ.

წინა შაბათს ამ გოგონამ თავად მომწერა, დახმარება მთხოვა, მითხრა, რომ სახლში მარტო იყო, მოძალადე არ იყო ადგილზე და შეეძლო პოლიციასთან საუბარი. პოლიციის გამოძახება მთხოვა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობით, შემთხვევის ადგილზე, სამართალდამცველი უწყების წარმომადგენლები სამჯერ იყვნენ გამოძახებულები, მაგრამ პირველი ორი შემთხვევა რეაგირების გარეშე დარჩა და მხოლოდ მესამე გამოძახების შემდეგ დააკავეს მოძალადე.

მესამე გამოძახების დროს, პოლიციის თანამშრომლები უკვე კონფლიქტურ სიტუაციას შეესწრნენ და ამიტომ დააკავეს, თუმცა, სავარაუდო დამნაშავე პირი დაკავებული მხოლოდ ერთი დღე იყო და შემდეგ გათავისუფლდა. სწორედ ამიტომ, გვაქვს ჩვენ პრეტენზია პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებთან – მათ ვერ შეაფასეს რისკები შესაბამისად და ვერ დაინახეს, რომ სიცოცხლის საფრთხე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საქართველოდან ვატყობინებდით, რომ ეს ქალი ძალიან მძიმე ძალადობის მსხვერპლია და იყო რისკები, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე შეჰქმნოდა და ეს პოლონურმა მხარემ არ გაითვალისწინა, – აღნიშნა იურისტმა.

მოკლულ ქალს სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

# თბილისში ბაიკერი ადგილზე გარდაიცვალა

ერთი ადამიანი გარდაიცვალა ავარიის შედეგად თბილისში. ერთმანეთს მოტოციკლეტი და ველოსიპედი შეეჯახა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ველოსიპედით მოძრავმა ახალგაზრდამ გზა ჩაუჭრა ბაიკერს, რომელმაც საჭე ველარ დაიმორჩილა, ჯერ ველოსიპედს შეეჯახა, შემდეგ კი ხეს. ბაიკერი ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევა 31 მაისს შუადღის საათებში მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რომელმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

აღნიშნული დანაშაული ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# „სანამ ძმებს გაუღიათ პირი, ითანამშრომლეთ პროკურატურასთან“

## რას ამბობს ნიკო კვარაცხელიას დედა

ნიკო კვარაცხელიას დედა, იზა ომაძე სოციალურ ქსელში წერს:

„მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად!“ ძალიან რთული დღე გვაქვს, ემოციურად ურთულესი, დააკავეს ჩვენი შვილის მკვლელობის საქმეში დამკვეთებად დასახელებული ძმები (ეს ინფორმაცია ჩვენთვის ცნობილია მკვლელი ჭელიძის და მკვლელი კაველაძის აღიარებიდან).

ძმებმა კიდევ ერთხელ გამოიჩინეს თავი და გასროლით ამცნეს ქალაქის შუაგულს, აქ ვართ, არსად წავსულვართ, დაიჩოქეთო. არა, შვილებო, არა! ვერ დაგიჩოქებთ და თქვენ ნამდვილად მოგიწევთ დაჩოქება უფლის წინაშე.

ვიმედოვნებ, ეყოფა შესაბამის ორგანოებს გონი და იარაღის უკანონო შენახვა-ტარებას კი არა, ნიკოს ამბავს მოჰკითხავენ საფუძვლიანად, თქვენ კი, შიშს დამონებულო კემბრიჯ – ვებსტერელო ახალგაზრდებო, ნუღარ შეგეშინდებათ და მოჰყევით, რას გაიძულებდნენ ძმები, რას განიხილავდით ხუთდღიანი სტუმრობისას ერევანში! სანამ ძმებს გაუღიათ პირი, ითანამშრომლეთ პროკურატურასთან, თქვენი ყურში ჩურჩული არავის სჭირდება და მოჰყევით თამამად ან თუნდაც დედების თანდასწრებით“.

# დანასთან შეხება არ ჰქონია

## 15 წლის ბიჭის დაჭრისთვის დაკავებული ბრალს არ აღიარებს

15 წლის მოზარდის დაჭრის საქმეზე დაკავებული ბრალის წარდგენის მოლოდინშია. მას სახელმწიფო ბრალდება არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას ედავება.




გამოძიების ინფორმაციით, 15 წლის მოზარდს ცივი იარაღით ჭრილობები დაკავებულმა მიაყენა, თუმცა მისი ადვოკატის ამბობს, რომ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს.

— როგორც გამოძიება ამბობს, იგეგმება უახლოეს პერიოდში ბრალის წარდგენა. ამ ბავშვს არანაირი შეხება დანაშაულთან, დანასთან და სხეულის დაზიანებასთან არ ჰქონია. ჩვენი ვარაუდით ეს უნდა იყოს გარკვეული გაუგებრობა. მე მას ვესაუბრე, ვერ იგებს, რისთვის არის დაკავებული და გაკვირვებულია, თუმცა გვაქვს იმედი, რომ ყველაფერი გაირკვევა ძალიან მალე, — თქვა ადვოკატმა.

სისხლიანი გარჩევა სკოლის მოსწავლეებს შორის, 74-ე სკოლაში დაიწყო და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაგრძელდა. კონფლიქტში დაახლოებით 20-მდე მოზარდი მონაწილეობდა. მოზარდი 31 მაისს დააკავეს.

# მატვიენკო: „რუსეთი მზადაა, კიევთან შეთანხმებას ხელი მოაწეროს“



რუსეთის ფედერაციის საბჭოში აცხადებენ, რომ რუსეთი მზადაა, ხელი მოაწეროს სამშვიდობო შეთანხმებებს კიევთან.

– რუსეთი ღიაა უკრაინასთან მოლაპარაკებებისა და მშვიდობის მომტანი ხელშეკრულებების ხელმოწერისთვის, – აღნიშნა რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერმა ვალენტინა მატვიენკომ.

მისი თქმით, საჭიროა, მოლაპარაკებების სურვილი ორივე მხარეს ჰქონდეს.

– ჩვენ ღია ვართ მოლაპარაკებებისთვის. საჭიროა დიპლომატიური, მშვიდობიანი გადაწყვეტილებები. მაგრამ ამას ორი ქვეყნის ნება სჭირდება. ვიმეორებთ, რომ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, შეთანხმებების ხელმოწერისთვის, რომელიც შეაჩერებს სამოქალაქო ომს უკრაინაში და მიგვიყვანს მშვიდობამდე, მაგრამ ვერ ვხედავთ კიევის მხრიდან მსგავს რეაქციას, – აღნიშნა ვალენტინა მატვიენკომ.

# ოლაფ შოლცი: „სანქციების მიზანია, აიძულოს რუსეთი, შეწყვიტოს ომი“



ევროკავშირის მიერ მიღებული ემბარგო რუსეთის ნავთობის მიწოდებაზე იმპორტის 90%-ს შეეხება.

ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა ბრიუსელში ევროპული საბჭოს სპეციალური სხდომის დასრულების შემდეგ ბრიფინგზე განაცხადა.

– სანქციების მეექვსე პაკეტი შეთანხმებულია. მასში ჩავრთეთ რუსული ნავთობის ემბარგოც. ესეც შეიტანს წვლილს იმაში, რომ რუსეთის ქმედებებს მოყვეს შედეგები, რომლებიც იქნება არსებითი მისი ეკონომიკის განვითარებისთვის.

სანქციებს გააჩნია მკაფიო მიზანი – აიძულოს რუსეთი, შეწყვიტოს ომი, გაიყვანოს თვისი ჯარი და მოილაპარაკოს უკრაინასთან სამართლიან მშვიდობაზე. ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, ემბარგო ეხება რუსული ნავთობის 90%-ს, – განაცხადა შოლცმა.

მისივე თქმით, გამონაკლისი გაკეთდა ნავთობსადენისთვის, რომლითაც რუსული ნავთობი მიეწოდება ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას.

მისი თქმით, ეს აუცილებელი იყო, ვინაიდან, გარდამავალი ზომები, რომელთა მიღება საჭირო იყო ამ ქვეყნებისთვის, შეუძლებელია, სწრაფად იყოს გატარებული.

კანცლერის თქმით, გერმანია და პოლონეთი მიუხედავად ევროკავშირის მიერ სამშაბათს მიღებული გადაწყვეტილებისა, განაგრძობენ ძალისხმევას, რომ წლის ბოლომდე უარი თქვან რუსულ ნავთობპროდუქტებზე.

# ნავალნი აცხადებს, რომ რუსეთში მის წინააღმდეგ ახალი საქმე აღძრეს



რუსეთის ციხეში მყოფი კრემლის კრიტიკოსი ალექსეი ნავალნი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ ახალი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, კიდევ 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

მისი ეს განცხადება სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა, სადაც ნავალნი აღნიშნავს, რომ მას ბრალი ედება ექსტრემისტული ორგანიზაციის შექმნასა და ხელისუფლების მიმართ სიძულვილის გაღვივებაში.

დასავლური მედიის ცნობით, ნავალნის ცხრაწლიანი პატიმრობა მიმდინარე წლის მარტში თაღლითობისა და სასამართლოს უპატივცემულობისთვის მიუსაჯეს, მანამდე კი მას ორ წლამდე პატიმრობა უკვე ჰქონდა მისჯილი.

კრემლის კრიტიკოსი გამუდმებით ამტკიცებს, რომ მის წინააღმდეგ ბრალდებები პოლიტიკურად მოტივირებულია.

# გერმანიაში შესვლაზე კორონავირუსთან დაკავშირებული რეგულაციები მარტივდება



1 ივნისიდან გერმანიაში შესვლაზე კორონავირუსთან დაკავშირებული რეგულაციები გამარტივდა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში გერმანიის საელჩო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გერმანიაში შესვლის მსურველებისათვის აღარ არის სავალდებულო აცრის, გამოჯანმრთელების ან ჩატარებული ტესტის საბუთის წარდგენა.

– გაუქმდა ინფექციისგან დაცვისათვის შექმნილი მაღალი რისკის მქონე ქვეყნების სია, რადგან ომიკრონი უფრო იშვიათად იწვევს დაავადების რთულ ფორმებს.

ვაქცინაციის საბუთი საჭიროა მხოლოდ იმ პირთათვის, ვინც გერმანიაში ჩადის ქვეყნებიდან, სადაც მოხდა ვირუსის მუტაცია. ამ შემთხვევაში შესვლა შესაძლებელი ხდება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ჩამოთვლილი ყველა ვაქცინით. საქართველო არ შედის ამ ქვეყნების სიაში, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ბრიტანეთის პარლამენტმა შეიძლება ჯონსონის გადაყენებას უყაროს კენჭი



„დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის“ დეპუტატი სერ ბობ ნილი აცხადებს, რომ მომავალ კვირას გაერთიანებული სამეფოს პარლამენტმა შესაძლოა პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონისადმი უნდობლობის გამოცხადებას უყაროს კენჭი. ინფორმაციას სკაი ნიუსი ავრცელებს.

მათივე ცნობით, 28 დეპუტატს ჯონსონის დაუყოვნებლივი გადაყენება წვეულებების სკანდალთან დაკავშირებით სურს, რომელსაც ბრიტანულმა მედიამ „ფართიგეითი“ უწოდა.

საუბარია პრემიერის მიერ მკაცრი „ლოქდაუნის“ დროს კოვიდ-რეგულაციების დარღვევაზე.

ცნობისთვის, გასულ კვირას აღნიშნულ სკანდალთან დაკავშირებით უფროსი საჯარო მოხელის სუ გრეის მიერ მომზადებული ანგარიში გამოქვეყნდა, რის შემდეგაც ბორის ჯონსონმა საზოგადოებას ბოდიში მოუხადა და სრული პასუხისმგებლობაც აიღო, თუმცა გადადგომაზე უარი განაცხადა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# მოზარდმა ორმეტრიანი ნიანგის თავდასხმა შიშველი ხელებით მოიგერია



ინდოეთის ოდიშას შტატის მცხოვრები ათი წუთის განმავლობაში შიშველი ხელებით ებრძოდა ნიანგს, რომელიც მას თავს დაესხა.

14 წლის ომ პრაკაშ სახუ მდინარეში მეგობრებთან ერთად ბანაობდა, როდესაც მას მოულოდნელად ორმეტრიანი ნიანგი მიეპარა. რეპტილიამ მოზარდს პირი სტაცა და მისი წყალქვეშ ჩათრევა ცადა, მაგრამ სახუ დიდი თავგანწირვით შეეწინააღმდეგა. ბოლოს მან ნიანგს თვალებსა და შუბლში ჩაარტყა და აიძულა, ყბები გაეხსნა. ამის წყალობით მოზარდმა მისგან თავის დაღწევა შეძლო და გადარჩა.

მოზარდი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ოდნავ მოგვიანებით კი ჯერ სამედიცინო კოლეჯში, შემდეგ კი ქალაქ კატაკას საავადმყოფოში მოათავსეს. ამ დროისთვის მისი მდგომარეობა სტაბილურია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შენგელია ფინალშია, შერმადინმა საკლუბო სეზონი დაასრულა





თორნიკე შენგელია იტალიის სერია ა-ს ფინალშია და ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი კალათბურთელის ბოლონიამ ნახევარფინალურ სერიაში ტორტონას მე-3 მატჩიც მოუგო და ფინალში გავიდა. სერჯო სკარიოლოს გუნდი საშინაო მატჩების შემდეგ სერიას 2:0-ს იგებდა. ბოლონიამ, ამჯერად, სტუმრად მოპოვებული გამარჯვებით ფინალის საგზური უმოკლესი გზით მოიპოვა და ძალების აღდგენის მეტოქეზე მეტი დრო ექნება.

ბოლონიელებმა უპირატესობა პირველივე ტაიმში მოიპოვეს, რომელიც 16 ქულით მოიგეს და მიუხედავად იმისა, რომ მე-2 ნახევარში 2-ვე პერიოდი წააგეს (ერთნაირი ანგარიშით 15:18), გამარჯვება არ გასჭირვებიათ – 77:69.

შენგელია თავის გუნდში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ქართველმა კალათბურთელმა 27 წუთში 14 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. მან 10-დან 6 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო 1 სამქულიანი ააცილა. თორნიკეს გარდა, ვირტუსში გამორჩეულები მუჰამადუ ჟაიტე (17 ქულა) და მილოშ ტეოდოსიჩი (15 ქულა) იყვნენ.

ვირტუს ბოლონია ახლა ფინალში მეტოქეს ელოდება, რომელიც სასარისა და მილანის წყვილში გაირკვევა. ფავორიტი, ცხადია, მილანია, რომელიც სერიას დამაჯერებლად, 2:0-ს იგებს.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე შენგელიამ და ვირტუსმა ამ სეზონში ერთი ტიტული უკვე მოიგო – ევროთასი და მომდევნო სეზონში ევროლიგაზე თამაშის უფლება მოიპოვა.

გიორგი შერმადინისთვის კი, სეზონი დასრულებულია. მისმა ტენერიფემ, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ხუვენტუდს ეთამაშებოდა, სერია 1:2 წააგო და ტურნირს გამოეთიშა.

საბედისწერო მატჩი ბადალონაში გაიმართა. სერიაში ანგარიში 1:1 გახლდათ და გადამწყვეტ მატჩს რეგულარულ ჩემპიონატში უფრო მაღალ პოზიციაზე დამსრულებელმა ხუვენტუდმა უმასპინძლა. შეხვედრა მასპინძელთა იოლი გამარჯვებით – 81:58 დასრულდა. შერმადინის გუნდმა პირველი ტაიმი 16 ქულით წააგო და მეორე ნახევარშიც ვერ შეძლო თამაშის სცენარის შეცვლა.

ჩვენებურმა მოედანზე 20:29 წუთი გაატარა, რა დროშიც 8 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა. გიორგი სასტარტო ხუთეულში იყო. ქართველმა ცენტრმა 3-დან 2 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა.

შეგახსენებთ, რომ შერმადინის გუნდისთვის სეზონი დასრულდა. ტენერიფესთვის 2021-22 წლების სეზონი დადებითად უნდა შეფასდეს, რადგანაც გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მოგება მოახერხა.

# ლეო მესი: „არგენტინის ნაკრებში ყველა მატჩში ფინალივით ვიხარჯებით“





ბარსელონას არგენტინელი ლეგენდა, ლიონელ მესი მედიასთან საუბარში ყოფილ კლუბს ისევ თბილად მოიხსენიებს.

– ბარსელონაში მყავდა თანაგუნდელები, რომლებთან ერთადაც მთელი გულით ვთამაშობდი. რთული გასაგებია, რა მოხდა. ბარსას დატოვებას არ ველოდი – ეს შოკი იყო. მსგავს სცენარს ვერასდროს წარმოვიდგენდი.

ბარსელონაში ყველაფერი მქონდა. ამ ქალაქში ბავშვობაში ჩამოვედი და კატალონიაში უფრო დიდხანს ვიცხოვრე, ვიდრე არგენტინაში. ბარსელონაში ცხოვრება შესანიშნავი იყო, არაფრის შეცვლას არ ვაპირებდი. არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე ბარსელონას გარდა სხვა კლუბში ვითამაშებდი, მაგრამ ასე მოხდა.

***– მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე რას იტყვი?***

– მუნდიალზე მარტივი მეტოქეები არ არსებობენ. ტურნირი რთული იქნება.

***– ბევრი საუბრობს, რომ წელს ოქროს ბურთს ქარიმ ბენზემა იმსახურებს. ეთანხმებით?***

– ეჭვგარეშეა, რომ ქარიმ ბენზემა ოქროს ბურთს იმსახურებს. მას გასაოცარი სეზონი ჰქონდა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მოგებით დააგვირგვინა.

***– ლევანდოვსკის სიტყვებზე, რომ ოქროს ბურთი 2020 წელს მას ეკუთვნოდა, რას იტყვი?***

– ყველა იმას ამბობს, რაც სურს. ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ და არ მაინტერესებს. რობერტის ნათქვამს არ ვეთანხმები. აღვნიშნე, რომ პოლონელს ოქროს ბურთი ეკუთვნოდა, მაგრამ არა იმ წელს, როცა ეს ჯილდო მე მოვიგე.

***– ვარსკვლავურმა პარი სენ-ჟერმენმა ჩემპიონთა ლიგა ვერც წელს მოიგო.***

– ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად საუკეთესო გუნდის ყოლა საჭირო არაა. არის სიტუაციები, მომენტები და ფსიქოლოგიური ფაქტორები. შესაძლოა, ტურნირს მცირე დეტალის გამო გამოეთიშო. რეალი წელს ყველაზე ძლიერი კლუბი არ იყო, მაგრამ მათ ყველა დაამარცხეს.

***– რას გააკეთებ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ?***

– არ ვიცი, ბევრი რამის გაანალიზება მმართებს. გულწრფელად რომ ვთქვა, ეს ჩემთვის რთული ჩანს. არგენტინელი ჟურნალისტები და, ზოგადად, ხალხი ნაკრებსა და ჩემს მიმართ აგრესიულნი იყვნენ, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა. ახლა ისინი მეტი პატივისცემით მესაუბრებიან.

***– 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს აპირებ?***

– ჯერ ეს მუნდიალი დავასრულოთ და შემდეგ ვნახოთ, რა მოხდება. შესაძლოა, ბევრი რამ მოხდეს. ფეხბურთს არგენტინისთვის, ჩემი შვილებისა და ცოლისთვის ვთამაშობ. არგენტინის ნაკრებში ყველა მატჩში ფინალივით ვიხარჯებით.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# ქალმა ქმარი ქორწილიდან მეოთხე დღეს მოკლა



აშშ-ში ქალი გისოსებს მიღმა მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც ქორწილიდან მეოთხე დღეს ქმარი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა.

25 აპრილს, საღამოს, 911-ის სამსახურზე შევიდა ზარი, რომლითაც მოქალაქემ განაცხადა პიკაპის თაობაზე, რომელმაც მართვა დაკარგა და საცხოვრებელი სახლის ეზოში შევარდა. ეს ყოველივე ტეხასის შტატის ქალაქ დენტონში მოხდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა მანქანის საჭესთან აღმოაჩინეს მამაკაცი, მუცლის არეში მიყენებული ცეცხლსასროლი ჭრილობით. მოგვიანებით ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. მანქანაში ასევე იმყოფებოდა მისი ცოლი, 30 წლის ემბერ როზალესი.

აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის უკვე მასაც ჰქონდა დარეკილი ექსტრემალურ სამსახურში და განაცხადა, რომ მის ქმარს ჯეფრი მაკბრაიდს უცნობმა პირმა ესროლა. ქალი ამტკიცებდა, რომ მისი ქმარი ნარკოტიკების შეძენას აპირებდა. მან თავისი პიკაპი ქუჩაში გააჩერა, რათა ვიღაც მამაკაცს დალაპარაკებოდა. მისი თქმით, პიროვნებამ მის ქმარს ესროლა და მოკლა, ამის შემდეგ თავისი პისტოლეტი მათ მანქანაში შეაგდო და გაიქცა.

პოლიციაში მაშინვე მიაქციეს ყურადღება მთელ რიგ შეუსაბამობებს ქალის მიერ მიცემულ ჩვენებაში. ასევე მისი მონაყოლი ეწინააღმდეგებოდა სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს. მასზე ჩანდა, რომ პიკაპი სრულიად ნორმალურად მოძრაობდა, შემდეგ კი მოულოდნელად დაკარგა მართვა და ეზოში შევარდა. ასევე არავინ დაფიქსირებულა პიკაპის მახლობლად.

გამომძიებლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ როზალესი წინ, მგზავრის სავარძელში იჯდა და თავად ესროლა მეუღლეს. ნათესავების ჩვენების თანახმად, ქალი ხშირად სცემდა მამაკაცს.

ისინი 21 აპრილს დაქორწინდნენ.

ემბერ როზალესი 25 აპრილს მკვლელობის ბრალდებით დააპატიმრეს. მას გირაოდ 500 ათასი დოლარის გადახდა დაენიშნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

- 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# საქართველო იწყებს, მეტოქეს გეგმა არ აქვს



დღეს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ერთა ლიგის ახალ სეზონს იწყებს. პირველი მეტოქე გიბრალტარის ნაკრებია.

საქართველო და გიბრალტარი ერთმანეთს აქამდე 4-ჯერ შეხვედრიან და ყველა მატჩი ჩვენი გუნდის სასარგებლოდ დასრულდა. საქართველომ ორი მატჩი 3:0 მოიგო, ერთი – 4:0, ხოლო ბოლო შეხვედრა სტუმრად 3:2 დასრულდა.

ბოლო მატჩი იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენმა ნაკრებმა კარი მშრალად ვერ შეინახა და 2 ბურთი გაუშვა. მაშინდელი თავკაცის, ვლადიმირ ვაისის ნაკრები შეხვედრას 2 ბურთით იგებდა, შემდეგ 2 გაუშვა, მაგრამ 84-ე წუთზე გიორგი ქვილითაიას გოლით მაინც გაიმარჯვა.

გიბრალტარი საფეხბურთო ტრადიციებით ვერ დაიკვეხნის. გუნდს არც სტატისტიკა აქვს შთამბეჭდავი. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ლი კასიაროა, რომლის ანგარიშზე მხოლოდ 3 გოლია. გიბრალტარის ნაკრების კაპიტანს 3 გოლიდან 1 საქართველოსთან აქვს გატანილი.

**მატჩის წინ პრესკონფერენცია ჯერ გიბრალტარის მთავარმა მწვრთნელმა, ხულიო რიბასმა გამართა:**

– პატარა ქვეყანა ვართ, ცოტა ფეხბურთელი გვყავს და მცირე რესურსი გაგვაჩნია. 12 დღეში 4 მატჩის ჩატარება ნებისმიერი ნაკრებისთვის ძალიან რთულია. შედეგად, ძალების გადანაწილება მოგვიწევს. შედეგების დაგეგმვა ძალიან ძნელია. კონკრეტული გეგმა არ გაგვაჩნია. მთავარია, თითოეული თამაშისთვის მაქსიმალურად მოვემზადოთ. ახალგაზრდა გუნდი გვყავს და ვცდილობთ ეს პროცესები ისე წარვმართოთ, ჩვენმა ფეხბურთელებმა მაქსიმალური გამოცდილება მიიღონ. ვეცდებით, არსებული რესურსიდან გამომდინარე, ჩვენი საუკეთესო თვისებები გამოვავლინოთ. საქართველოს ეროვნული ნაკრების პროგრესი აშკარაა. მეტოქე კარგი გუნდია, ახალი, კარგი მწვრთნელით. მათი ფეხბურთელები ევროპაში თამაშობენ, ჩვენი ნაკრების საფუძველი კი მოტივაციაა, რომელიც 19 და 21-წლამდე ასაკის იმ ფეხბურთელებს გააჩნიათ, რომლითაც ნაკრებია დაკომპლექტებული. ჩვენ ვცდილობთ ვითამაშოთ საუკეთესოებთან, რათა მათგან ვისწავლოთ. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

კომენტარები გააკეთეს ქართველმა ფეხბურთელებმაც.

**ნიკა კვეკვესკირი:**

– სანაკრებო ფეხბურთის ისტორიაში პირველად არის მატჩები ასე ერთმანეთს მიწყობილი. ფაქტობრივად აღდგენისთვის დრო არ გვაქვს. მნიშვნელოვანია, რომ შეკრებაზე ბევრი ფეხბურთელია. 10 დღეში მოგვიწევს 4 თამაშის ჩატარება და შეუძლებელია ბევრი კვალიფიციური ფეხბურთელის და ოპტიმალური როტაციის გარეშე წარმატების მიღწევა.

ერთა ლიგის პირველი გათამაშების ჯგუფურმა ეტაპმა გულშემატკივრებს შორის დიდი იმედები გააჩინა და ამ გათამაშების დაწყებამდეც იგივე მიზანს ვისახავთ, რომ მივაღწიოთ წარმატებას და გავიდეთ ფლეი ოფში.

იმედი მაქვს, მეტი დანაკლისი არ გვექნება, რადგან თითოეულ ფეხბურთელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მთავარი მათი ფიზიკური მდგომარეობა და ჯანმრთელობაა.

**ოთარ კიტეიშვილი:**

– ძალიან მიხარია, რომ პაუზის შემდეგ კვლავ ნაკრებში ვარ და შემიძლია გუნდს დავეხმარო. რა თქმა უნდა, რთულია 10 დღეში 4 თამაშის ჩატარება. მით უმეტეს, სეზონის ბოლოა, ჩემპიონატები ახლა დასრულდა და ბევრს გადატვირთული კალენდარი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდისთვის მომზადება რთულია. მაგრამ, გვაქვს დრო, გუნდმა ადრე დაიწყო შეკრება და ეს აუცილებლად დაგვეხმარება.

მიზანი პირველი ადგილია და იმედი მაქვს, ამ ოთხ შეხვედრაში ვაჩვენებთ, რომ პირველობისთვის ვიბრძვით და სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე ფავორიტები ვიქნებით. პირველი თამაში ყველაზე მნიშვნელოვანია. გიბრალტარს ვეთამაშებით და აუცილებელია, რომ მეტოქე სათანადოდ შევაფასოთ და 3 ქულა მოვიპოვოთ.

მიხარია, რომ დინამო არენაზე ვითამაშებთ. მშობლიური სტადიონია ეროვნული ნაკრებისთვის, ბევრი მატჩი გვაქვს ჩატარებული და ხალხის მხარდაჭერაც განსაკუთრებულია.

# დავით ნინიაშვილი: „ფინალში ჭკუის სასწავლებელი მომენტი შემექმნა“



გასულ კვირაში ევროპის საკლუბო ჩემპიონატების გამარჯვებულთა სიას 2 ახალი გუნდი შეემატა. ორივე შემთხვევაში გამარჯვება ფრანგულ კლუბებს დარჩათ – ჩემპიონთა თასი ლა როშელმა, ხოლო ჩელენჯ თასი ლიონმა მოიგო.

ლა როშელი ჩემპიონთა თასის ფინალში ზედიზედ მეორედ გავიდა და თუკი შარშან ტულონთან დამარცხდა (17:22), წელს ირლანდიურ ლენსთერს 24:21 სძლია და ევროტურნირების თასი პირველად შემართა.

მარსელში გამართულ ფინალში ირლანდიელები მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდნენ, მაგრამ ლა როშელმა ბოლოსწინა წუთზე გამარჯვების ლელო გაიტანა. სამწუხაროდ, ტრავმის გამო თამაშში მონაწილეობა ვერ მიიღო გურამ პაპიძემ, რომელიც ლა როშელს სეზონის წინ პრო დე 2-ის ნევერიდან შეუერთდა და ტოპ 14-ის 15 მატჩში 1 ლელო გაიტანა, ხოლო ჩემპიონთა თასზე მონაწილეობა 4 თამაშში მიიღო.

ევროტურნირის ფინალში წელს პირველად გავიდა ლიონი და ტულონი 30:12 დაამარცხა. მატჩში მონაწილეობა 2-მა ქართველმა ლეგიონერმა მიიღო. ლიონის ძირითადში იყო და 72 წუთი შეუდარებლად ითამაშა 19 წლის ფრთამ დავით ნინიაშვილმა. მან ბურთით ხელში 187 მეტრი იარა, რაც ფინალურ მატჩში მონაწილეთა შორის საუკეთესო მაჩვენებელია. გარდა ამისა, კარგი იყო დაცვაში და მსოფლიოს ჩემპიონს, სამხრეთ აფრიკელ ჩესლინ კოლბის თავის გამოჩენის მცირედი შანსი არ დაუტოვა.

მხრის ტრავმის გამო ფინალში ვერ ითამაშა ლიონის მესამეხაზელმა ბექა საღინაძემ, მაგრამ გუნდის წარმატებაში მისი წვლილი ფასდაუდებელია. ნინიაშვილის მსგავსად, ახალ გუნდს ისიც მიმდინარე სეზონის წინ შეუერთდა და გუნდის უცვლელ წევრად იქცა. ფინალში ტულონელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე 62 წუთი გაატარა ბექა გიგაშვილმა.

ჩელენჯ თასის მოგებით უზომოდ გახარებულია ნინიაშვილი, რომელმაც ფინალური მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს ლელო გაიტანა, თუმცა ბურთის დამიწებამდე, ისე, რომ მის ახლოს არც ერთი მოწინააღმდეგე არ იმყოფებოდა, თითის წვერი მილიმეტრით შეეხო პირით ხაზს და ვიდეორეფერიმ ლელო გააუქმა. ნინიაშვილი საკუთარ წილ ლელოს მაინც გაიტანდა, მაგრამ მეტოქემ 45-ე წუთზე მისი მისამართით მიმავალ ბურთს ხელი განზრახ ჩაარტყა და ტულონი საჯარიმო ლელოთი დაისაჯა.

**დავით ნინიაშვილი:**

– აქ რომ ჩამოვედი, ვერც კი წარმოვიდგენდი, პირველ გუნდში თუ მომიწევდა თამაში და, მით უმეტეს, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ლიონთან ერთად ფინალს თუ ვითამაშებდი და ჩელენჯ თასს ავწევდი. უზომოდ ბედნიერი ვარ. ეს გამარჯვება მთელი გუნდის დამსახურებაა. ლიონი შეკრული გუნდია და ფინალისთვის მაქსიმალური მობილიზებით ვემზადებოდით. კარგად შევისწავლეთ მეტოქის სუსტი მხარეები, შესაბამისი ტაქტიკა შევარჩიეთ და ამან გაამართლა.

***რას ფიქრობს ნინიაშვილი პირველი ტაიმის ბოლოს არჩათვლილ ლელოზე?***

– ეს მომენტი მთელი ცხოვრება მემახსოვრება! ჭკუის სასწავლებელი ეპიზოდი იყო და არასდროს დამავიწყდება. ძალიან გავმწარდი, ლელო რომ არ ჩაითვალა, მაგრამ მეტი სტიმული და მოტივაცია მომცა, რათა უკეთ მეთამაშა, შეცდომა აღარ დამეშვა და ლელო დამემსახურებინა. ნერვიულობას და ფიქრს რომ ავყოლოდი, ზუსტად ვიცოდი, კარგს არაფერს მომიტანდა. ამიტომ ეს ეპიზოდი პირველ ტაიმში დავტოვე და მე-2 ტაიმი ნულიდან დავიწყე, თითქოს აქამდე არც არაფერი მომხდარა.

***რომ არა ტექნიკური ლელო, ნინიაშვილი ლელოს აუცილებლად გაიტანდა...***

– ვიცოდი, რომ ჩემ წინ მსოფლიოს ჩემპიონი, თავად ჩესლინ კოლბი იდგა და ამან ჩემს თამაშზე დიდი გავლენა იქონია. მოედანზე ისეთი მოტივაციით გავედი, რომ მისთვის უნდა მეჯობნა, მაქსიმუმი გამეღო მის შესაჩერებლად, თუნდაც მოედანზე მოვმკვდარიყავი. სავარაუდოდ, ლელოს აუცილებლად გავიტანდი, ცხადია, თუ ისევ ხაზს არ შევეხებოდი.

***თავდადებულმა თამაშმა ნინიაშვილის სხეულზე თავისი კვალი დატოვა. მან რამდენჯერმე მიიღო ძლიერი დარტყმა, მათ შორის, კიდევ ერთი სამხრეთ აფრიკელისგან, მეორეხაზელ ებენ ეცებეთისგან, რომელსაც რამდენიმე წამით ადრე დავითმა დომინანტი ბოჭვა გაუკეთა და უკან გადააგდო, საპასუხოდ კი, რაქის „გაწმენდისას“ აფრიკელმა თავში ძლიერი დარტყმა მიაყენა. სპეციალისტების აზრით, ეცებეთი ამ ეპიზოდის გამო ყვითელ ბარათს იმსახურებდა.***

– როგორც ყველა თამაშის შემდეგ, პატარ-პატარა დაზეჟილობები მაქვს და, სავარაუდოდ, მცირე ტვინის შერყევა. თუმცა, თავს კარგად ვგრძნობ. ეს ტიტული პირველია ლიონისთვის, მთელი გუნდი 2 დღე ერთად აღვნიშნავდით. ერთია, მე ალკოჰოლი არ მიმიღია, რადგან ტვინის შერყევის რისკი იზრდებოდა. ქალაქში გულშემატკივრები ზეიმით დაგვხვდნენ, ყველგან დაგვაქვს თასი და მედლები.

***ნინიაშვილს არ ავიწყდება თანაგუნდელი ბექა საღინაძე და დარწმუნებით ამბობს, რომ ამ წარმატებაში მისი წვლილი უდიდესია.***

– ბექამ მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში ძალიან მაგრად ითამაშა, საუკეთესო იყო მოედანზე და ამიტომ, როგორც ფინალში გასვლაში, ასევე თასის მოგებაში, მისი დამსახურება ძალიან დიდია. მის გარეშე გადამწყვეტ მატჩში შესაძლოა საერთოდ არც გვეთამაშა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კახი ასანიძე ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია



კახი ასანიძე ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია. ოლიმპიური ჩემპიონისა და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის გიორგი ასანიძის შვილმა, ალბანეთში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე 73 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ორჭიდის ჯამში 326 კილოგრამი დაძლია და მხოლოდ თურქ მოჰამედ ოზბეკს ჩამორჩა.

თურქმა სპორტსმენმა ორჭიდის ჯამში 339 კილოგრამი დააფიქსირა. მესამე ადგილზე პოლონელი პიოტ კუდლაჩიკი გავიდა – 324 კილოგრამი.

ასანიძემ მედლები ატაცშიც და აკვრაშიც აიღო. ატაცში 150 კილოგრამი ასწია და B ჯგუფში ალბანელ ერკანდ ქემირაის მხოლოდ იმიტომ ჩამორჩა, რომ მეტოქემ წონა უფრო ადრე დააფიქსირა. შედეგად, მცირე ოქროც მას ერგო, ხოლო ოზბეკს (149) – ბრინჯაო.

სამაგიეროდ, ოზბეკმა ოქროს მედალი აკვრაში მოიგო – 190 კილოგრამი ასწია და დიდი უპირატესობით აჯობა ამ დისციპლინაში მეორე ადგილზე გასულ კუდლაჩიკსა (181) და ასანიძეს (176), რომელსაც მცირე ბრინჯაოს მედალიც ერგო.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მელღება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. იაფფასიანი ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისთვის; 5. აბრეშუმის ჭია; 6. იტალიელი კომპოზიტორი, მევიოლინე; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. ტყეში ბინადარი დიდი, გარეული ხარი; 16. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 20. ქართველი სუმოისტი; 23. ქუდების მკერავი ძველად საქართველოში; 24. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 25. მდინარე ოზურგეთში; 26. უბანი ქუთაისში.

**თარაზულად:** 7. კურორტი დუშეთის რაიონში; 8. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 12. მამათა მონასტერი; 13. დაბალი ხის მაგიდა; 15. მდინარე ევროპაში; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 21. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ვაშლის ღვინო; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტებისთვის; 28. ქართველ სახალხო მკურნალთა საგვარეულო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დისპეფსია; 2. შევროლე; 3. დილეგი; 4. კლოპი; 5. ოდისეა; 11. მიქლიო; 12. ჩაქურა; 14. დილა; 16. ოპიზარი; 17. ყარაუნი; 19. მენისკი; 21. მტილი; 22. ტატრა.

**თარაზულად:** 5. ფიტარეთი; 7. კალანდა; 8. პირსი; 9. მერანო; 10. გიუმი; 13. სიმდი; 15. ნოქალაქევი; 18. ბოდრუმი; 20. არფა; 21. მახათა; 23. ბისექტრისა; 24. ნოველა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დოგმა; 2. ამაგი; 3. ჰუდზონი; 4. კანა; 5. ჯუნო; 6. ინგლისი; 9. პიქტოგრაფია; 10. ესპანიოლი; 11. ზაპოროჟიე; 14. ბაფტა; 16. ღლავი; 18. ნეფრიტი; 20. მიტინგი; 23. ყადი; 24. ფურია; 25. მლილი; 26. ფინო.

**თარაზულად:** 7. ბუმერანგი; 8. ჭაბუკიანი; 12. ჩორსუ; 13. ბაქია; 15. ხოტბა; 17. ფონოგრამა; 19. ჭვავი; 21. ეფელი; 22. აიეტი; 27. სტივიდორი; 28. ლიმნოლოგი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


2 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0307

ევრო — 3.2477

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8175

100 რუსული რუბლი — 4.8440

## ამინდის პროგნოზი 2 ივნისისათვის




## ედენ აზარი: „მომავალ სეზონში ნამდვილ აზარს იხილავთ“



მადრიდის რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მომავალ სეზონში მაყურებელი ნამდვილ აზარს იხილავს, რადგან ის ოპტიმალურ ფორმასთან ახლოს არის:

– გულშემატკივარს ბოლო სეზონებში იმედი გავუცრუე და მინდა, რომ ეს გამოსწორდეს. თუ ტრავმებმა ხელი არ შემიშალა, მომავალ სეზონში თქვენ ნამდვილ ედენ აზარს იხილავთ.

## კურტუამ ფინალში ტრავმით ითამაშა



მადრიდის რეალმა ჩემპიონთა ლიგის ფინალი დიდწილად ტიბო კურტუას წყალობით მოიგო, რომელმაც თავისი გუნდი აშკარა გოლისგან რამდენჯერმე გადაარჩინა.

როგორც აღმოჩნდა, კურტუა ამ შეხვედრაში ტრავმით თამაშობდა და, მიუხედავად ამისა, მან შეძლო, თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი შეეტანა.

## ხავი: „ტაქტიკა უფრო მრავალფეროვანი უნდა გავხადოთ“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა თავისი გუნდის ტაქტიკურ მონახაზზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ ტაქტიკა უფრო მრავალფეროვანი უნდა გახადონ იმისთვის, რომ მეტოქეებს მეტი პრობლემა შეუქმნან, თუმცა ამის გაკეთება იოლი არ იქნება:

– ტაქტიკურად უფრო გამართულად უნდა ვითამაშოთ, რადგან ზოგჯერ მეტოქე გუნდები ადვილად ახერხებენ ჩვენს ნეიტრალიზებას და ამ მხრივ სამუშაო გვაქვს. თუ ამ მხრივ ვიმუშავებთ, მაშინ მომავალ სეზონში ტიტულების მოგების მეტი შანსი გვექნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გიენა ბავშვს თავს ეკლესიაში დაესხა



ზიმბაბვეში გიენა სამი წლის ბავშვს თავს ეკლესიის ეზოში დაესხა და კინაღამ დაგლიჯა.

აღნიშნული ინციდენტი აღმოსავლეთ მაშონალენდის პროვინციის მუტოკოს ოლქში 27 მაისს მოხდა. როგორც ბავშვის მამამ განაცხადა, მისი მეუღლე და შვილი ადგილობრივ ეკლესიაში დილის წირვას ესწრებოდნენ. ქალს ტაძრის შესასვლელთან ჩასთვლიმა და ის ყვირილის ხმამ გამოაფხიზლა. ქალმა აღმოაჩინა, რომ გიენა ბავშვს კბილებით თავში იყო ჩაფრენილი და მის გატაცებას ცდილობდა.

ტაძარში მყოფი მრევლი, რომელიც აღნიშნული შემთხვევის თვითმხილველი გახდა, ბავშვს მიეშველა და მტაცებელს გამოსტაცა. თუმცა ბავშვმა თავისა და სახის არეში სერიოზული დაზიანებები მიიღო.

– ბავშვი საავადმყოფოში გადავიყვანე და ის ახლაც იქ იმყოფება. ექიმები მეუბნებიან, რომ მათ მინიმუმ 300 დოლარი სჭირდებათ თავის კომპიუტერული ტომოგრაფიისთვის, ასე რომ, დახმარების თხოვნით მივმართავ ყველა კეთილ ადამიანს, – განაცხადა მას მედიის წარმომადგენლებთან საუბარში ბავშვის მამამ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს გახშირდა გიენების ადამიანებზე თავდასხმის შემთხვევები. კერძოდ, გიენებმა ორჯერ შეაღწიეს ერთ-ერთი ადგილობრივი სკოლის ტერიტორიაზე და მოსწავლეებმა თავადვე მოახერხეს მათი განდევნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 2 ივნისისათვის

**ვერძი** – ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს გიმართლებთ. ჩანაფიქრის რეალიზებას საკმაოდ მარტივად მოახერხებთ. **კურო** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **ტყუპები** – ნუ დაღონდებით, თუ მოვლენები თქვენთვის სასურველი ფორმით არ წარიმართება. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. **კირჩხიბი** – სისულელეებზე არ იფიქროთ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი დასკვნები გააკეთეთ. **ლომი** – ჰარმონიული და მშვიდი დღეა. გელით ახალი და სასიამოვნო შეხვედრები. ფინანსებს არ უჩივით. **ქალწული** – წარმატება გელით შემოქმედებით და ფინანსურ საქმიანობაში. იყავით მოწესრიგებული და ოპტიმისტურად განეწყვეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორთან ურთიერთობისას. **მორიელი** – ნებისმიერი ახალი წამოწყება გაამართლებს. ამბიციურობა დაუშვებელია. **მშვილდოსანი** – იმპულსურობა, უტაქტობა თქვენს გეგმებზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს. კომპრომისზე წასვლა აუცილებელია. **თხის რქა** – პარტნიორული ურთიერთობები აქტიურ ფაზაში შედის, ოღონდ სწრაფ შედეგებს ნუ ელით. **მერწყული** – იოლად ნურავის მიენდობით. მატყუარები ცდილობენ, გაგაცურონ. ჯანმრთელობას მიხედეთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა ოჯახური დღესასწაულების, შემოქმედებითი შეხვედრებისათვის. საიმედო პარტნიორების ყურადღებას იპყრობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ტელეფონის ზარია:

– ალო, პოლიციაა?

– დიახ. რით შეგვიძლია, დაგეხმაროთ?

– გევედრებით, გთხოვთ, დამეხმარეთ... თუ შეიძლება... ჩემი სიდედრი დაიკარგა...

– თქვენი მესმის. შეეცადეთ, რაც შეიძლება დიდხანს არ დაკიდოთ ყურმილი და მიპასუხეთ მხოლოდ „დიახ“ ან „არა“. გასაგებია?

– დიახ!

– იარაღით გემუქრებიან?

●●●

მიხოს ეკითხებიან:

– რაში მდგომარეობს თქვენი დღეგრძელობის საიდუმლო?

– მაროს უნდა ვაჯობო...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– რამდენი ფული მჭირდება! ეპილაციაზე, მანიკიურზე, პედიკიურზე, მელირებაზე, კოსმეტიკაზე...

– მე კი გამიმართლა! თავიდანვე სიმპათიური დავიბადე.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– მართლა ორბავშვიანი მარტოხელა დედა ხარ?

– კი.

– და არ გინდა, რომ სამი ბავშვის მარტოხელა დედა გახდე?

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, არ ვსვამ, არ ვეწევი, ქალებს არ დავდევ, აზარტული თამაშები არ მიტაცებს... და სწორად ვცხოვრობ?

– კი მაგრამ, რა ჩემ ფეხებად გინდა, მასეთი სიცოცხლე?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კრწანისის ბრძოლის მემორიალი გაპარტახებულია

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლის – კრწანისის ბრძოლის ადგილას აღმართული მემორიალი გაპარტახებულია.

ინფორმაცია და ფოტოები მოქანდაკე ირაკლი ჟვანიამ გაავრცელა:

– ამ ადგილას, კრწანისში მოხდა ბრძოლა ქართველებს და ირანელებს შორის. ქართველთა გმირობის პატივსაცემად კი რა გვაქვს? სამი ზარბაზანი ჩაჭეჭყილი ყუმბარებით, ჩამქრალი მარადიული ცეცხლი, არც ერთი, თუნდაც წარწერა ფაქტის შესახებ, გაშავებული და დაზიანებული კედლები. გაუგებარი ცხენის სკულპტურა და მოტეხილი წარწერით რაღაც პორტრეტი. მეტი არაფერი. ესაა ჩვენი დამოკიდებულება წარსულის მიმართ.

## მერაბ სეფაშვილი ბათუმში იმღერებს



მომღერალი მერაბ სეფაშვილი 60 წლის იუბილეს ბათუმში კონცერტით აღნიშნავს.

პანდემიის გამო, იუბილეს გრანდიოზული აღნიშვნა ვერ მოხერხდა, ამიტომაც მომღერალმა სიტუაციის გაუმჯობესების შემდეგ გადაწყვიტა, მთელი საქართველო მოიაროს და მონატრებულ მსმენელს შეხვდეს.

5 ივნისს მერაბ სეფაშვილი ბათუმში კონცერტს გამართავს. ბენდთან ერთად მომღერალი ბათუმის საზაფხულო თეატრში იმღერებს და ძველ და კარგად ნაცნობ ჰიტებთან ერთად, მსმენელს ახალ სიმღერებსაც შეუსრულებს.

## მედეა ჩახავას უცნობი დღიურები წიგნად გამოიცა



თეატრისა და კინოს ვარსკვლავის მედეა ჩახავას უცნობი დღიურები წიგნად გამოიცა.

კრებულის პრეზენტაციას მის მშობლიურ თეატრში – რუსთაველის ეროვნულ თეატრში უმასპინძლეს.

„მედეა ჩახავა“ – ასე ეწოდება ულამაზესი და უცნობი ფოტოებით გაფორმებულ წიგნს, რომელშიც მკითხველისთვის აქამდე უცნობი ისტორიებია გაერთიანებული.

წიგნი-ალბომის პრეზენტაციაზე მედეა ჩახავაზე ისაუბრეს რეჟისორებმა, მსახიობებმა, მისი ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა: რობერტ სტურუამ, მარინა კახიანმა, მაკა მახარაძემ, ნანა ფაჩუაშვილმა, მურმან ჯინორიამ...

## ადრიანა ლიმამ დემნას სამოსში იპოზიორა




მსოფლიოში ცნობილმა მოდელმა ადრიანა ლიმამ ფოტოგრაფებისთვის იპოზიორა.

ორსულმა ლამაზმანმა ქართველი დიზაინერის დემნას სამოსი მოირგო და მოდის ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ჟურნალის „ელლეს“ ყდისთვის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

„ელლეს“ ახალი ნომერი უკვე დაბეჭდილია და მის ყდას ორსული ადრიანა ლიმა დემნას სამოსში ამშვენებს.

## გელა კანდელაკი სამმაგ იუბილეს აღნიშნავს



რეჟისორი გელა კანდელაკი სამმაგ იუბილეს აღნიშნავს – მას 82 წელი შეუსრულდა, ხელის ჩრდილების თეატრი 40 წლის გახდა, თეატრის პირველი სპექტაკლი „წელიწადის ოთხი დრო“ კი – 31 წლისაა.

– ჩრდილების თეატრისთვის სამმაგად ისტორიული დღე – გელა კანდელაკის ჩრდილების თეატრის შემქმნელის, რეჟისორის, სამხატვრო ხელმძღვანელის, კინორეჟისორის, პროდიუსერის, სცენარისტის დაბადების დღე – იგი 82 წლის გახდა.

ხელის ჩრდილების თეატრი კი უკვე 40 წლისაა. პირველდასელები რეჟისორ გელა კანდელაკთან ერთად 1982 წელს შეიკრიბნენ, ცდით, ფიქრით, მუშაობით, იდეით, სირთულითა და სიმარტივით, შუქისა და სიბნელის თამაშით, უთოჯინოდ, მხოლოდ საკუთარი ხელის ჩრდილების გაცოცხლებით მსოფლიოში გამორჩეული, უნიკალური თეატრი შექმნეს. დაბადების დღე აქვს ჩვენს პირველ სპექტაკლს „წელიწადის ოთხი დრო“, რომელიც უკვე 31 წლისაა. ის პირველად 1991 წლის მაისში, საფრანგეთში, პარიზში, მარიონეტების კვირეულზე დაიდგა. მას შემდეგ „ბუდრუგანამ“ მოიარა იაპონია, ამერიკა, გერმანია და მსოფლიოს სხვა, 30-მდე ქვეყანა.

ვულოცავთ ჩრდილების თეატრის რეჟისორს, ჩვენი სამივე დასის მსახიობებსა და მაყურებელს ჩრდილების თეატრის სამმაგად ისტორიულ თარიღს, – ნათქვამია თეატრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## ჭიქიანის მენჰირის მონუმენტი შეურაცხყვეს



თრიალეთიდან ჯავახეთისაკენ მიმავალი გზის პირას მდგარი ჭიქიანის მენჰირის მონუმენტი შეურაცხყვეს.

ინფორმაცია არქეოლოგმა გოდერძი ნარიმანიშვილმა გაავრცელა:

– კუკური მეტრეველმა ჭიქიანის მენჰირის ფოტო გამოაქვეყნა. მენჰირი თრიალეთიდან ჯავახეთისაკენ მიმავალ გზის პირას დგას. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ის დაახლოებით 5000 წელია, რაც აღმართეს და დღემდე მოაღწია.

უკანასკნელ წლებში რამდენჯერმე ხელყვეს ადამიანის მიერ შექმნილი ეს მონუმენტი. განსაკუთრებული უპატივცემლობა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლებმა გამოიჩინეს – ამ საკითხს რამდენიმე წლის წინ შევეხე. შემდეგ ვიღაცეებმა შეურაცხმყოფელი წარწერები და ნახატი გააკეთეს ქვაზე, მოგვიანებით გარკვეულმა ჯგუფმა ვანდალური აქტი ჩაიდინა და მენჰირი ტრაქტორით წააქცია – საზღვარი აქ კი არ გადის, არამედ მდ. ქციაზეო (ხრამი). მაშინ დიდი ძალისხმევის და ბევრი ადამიანის გულისხმიერების შედეგად მენჰირი ადგილზე დააბრუნეს. თუმცა, ისე ღრმად ჩასვეს, რომ ეს თითქმის 4 მეტრის სიმაღლის ქვა, 2 მეტრითაც კი არ მოჩანს.

უკანასკნელი ორი წელია პერლიტის მომპოვებელი კომპანიები უტევენ ძლიერებისა და სიამაყის სიმბოლოს, გარშემო შემოუთხარეს მინდორი, გაიყვანეს გზები და ა.შ. საყურადღებოა ისიც, რომ მენჰირის გარშემო რამდენიმე ათეული უძველესი ყორღანია – ორი მათგანი კუფლინმა გათხარა XX საუკუნის 40-იან წლებში. ჭიქიანის მენჰირი კულტურის ძეგლია და მას სახელმწიფო უნდა იცავდეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 3. პარლამენტის ზედა პალატა აშშ-ში; 4. მოწყალე, სიკეთის მკეთებელი ადამიანი; 5. კიევის მერი; 9. კიევის მერი; 11. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 12. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 14. პროვინციის მმართველი თურქეთში; 16. წინასწარმეტყველი ქურუმი ძველ რომსა და საბერძნეთში; 17. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 19. სამშენებლო მოსაპირკეთებელი მინერალი; 21. აეროპორტი სინგაპურში; 22. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი.

**თარაზულად:** 6. ეროტიკოსთა და მათი თხზულებების დაწვა კოცონზე ინკვიზიციის განაჩენით; 7. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 8. შუადღის საუზმე; 9. ქართველი ჰემატოლოგი, აკადემიკოსი; 10. საკონდიტრო ნაწარმი; 13. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 15. ცხენზე მოჯირითე აკრობატი ცირკში; 18. ხორვატიის დედაქალაქი; 20. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 21. იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 23. მანათობელი მწერი; 24. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

